საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის (საქსტანდარტი) თავმჯდომარის
ბრძანება №20

1999 წლის 2 მარტი

ქ. თბილისი

სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის „სტანდარტიზაციის შესახებ“ და საქართველოს სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემის შესაბამისად, **ვბრძანებ**

კარი I

ძირითადი დებულებები

მუხლი 1
დამტკიცდეს სახელმძღვანელო დოკუმენეტები:

სდ 20473172 – 022 – 99	სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემა. სტანდარტების მოთხოვნების, სავალდებულო სერტიფიკაციის წესების და მეტროლოგიური უზრუნველყოფის დაცვაზე სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელების წესი.
სდ 20473172 – 023 – 99	სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემა. მოთხოვნები სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორებისადმი და მათი მომზადების წესი.
სდ 20473172 – 024 – 99	სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემა. მოთხოვნები სერტიფიკაციის ექსპერტებისადმი, მათი მომზადებისა და ატესტაციის წესი.
სდ 20473172 – 025 – 99	გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემა. მოთხოვნები გაზომვათა საშუალებების დამმოწმებლებისადმი, მათი მომზადებისა და ატესტაციის წესი.
სდ 20473172 – 026 – 99	აკრედიტაციის სისტემა. აკრედიტირებული სერტიფიკაციის ორგანოების, საგამოცდო და დამმოწმებელი ლაბორატორიების (ცენტრების) საინსპექციო კონტროლის ჩატარების წესი “ .

მუხლი 2
დამტკიცდეს:
საქსტდანტარტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება.

მუხლი 3
მათი საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების თარიღად განისაზღვროს 1999 წლის 1 აპრილი.

მუხლი 4
მათი საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების დღიდან გაუქმდეს სახელმძღვანელო დოკუმენტი:

სდ 02570339 – 008 – 97	სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემა. სერტიფიკაციის ექსპერტიზების მომზადებისა და ატესტაციის წესი.

ჯ. მანჯგალაძე

საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი

სდ 20473172 – 022 – 99

სახელმძღვანელო დოკუმენტი სტანდარტიზაციაში

სტანდარტების მოთხოვნების, სავალდებულო სერტიფიკაციის წესებისა და მეტროლოგიური უზრუნველყოფის დაცვაზე სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელების წესი

თბილისი
1999

საინფორმაციო მონაცემები

1. **შემუშავებულია და შემოტანილია** საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის – საქსტანდარტის მიერ

შემსრულებელი საქსტანდარტის სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მთავარი სამმართველო

2. **დამტკიცებულია და შემოღებულია სამოქმედოდ** საქსტანდარტის 1999 წლის 2 მარტის № 20 ბრძანებით
3. **პირველად**

სახელმძღვანელო დოკუმენტი სტანდარიტზაციაში

სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემა

სდ 20473172 – 022 – 99

სტანდარტების მოთხოვნების, სავალდებულო სერტიფიკაციის წესებისა და მეტროლოგიური უზრუნველყოფის დაცვაზე სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელების წესი

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს კანონების „ სტანდარტიზაციის შესახებ“, „ გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“ „ პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ „ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 199 8 წლის 21 მარტის № 179 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის (საქსტანდარტი) დებულების შესაბამისად.

დოკუმენტი ადგენს საქსტანდარტის თანამდებობის პირების მიერ სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის (შემდგომში – ზედამხედველობა) განხორციელების პროცედურებს და თანმიმდევრობას მეურნე სუბიექტების მხრივ სტანდარტების (სტანდარტიზაციის სხვა ნორმატული დოკუმენტების) მოთხოვნების შესრულების, სავალდებულო სერტიფიკაციის წესებისა და პროდუქციის ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად.

დოკუმენტი სავალდებულოა საქსტანდარტის თანამდებობის პირებისათვის, რომლებიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ სახელმწიფო ზედამხედველობას, აგრეთვე საწარმოების, ორგანიზაციების, სამეწარმეო საქმიანობის სხვა სუბიექტებისათვის (შემდგომში – მეურნე სუბიექტი) , მიუხედავად მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

I . ზოგადი დებულებები

1.1 სტანდარტების, სტანდარტიზაციის სხვა ნორმატული დოკუმენტების მოთხოვნების შესრულების, სავალდებულო სერტიფიკაციის წესებისა და პროდუქციის ხარისხის დაცვის სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონებრივი ინტერესების და გარემოსათვის, მომხარებელთა უფლებების და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, სერტიფიკაციის და პროდუქციის ხარისხის სფეროში მომქმედი კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილების, აღკვეთისა და აღმოფხვრის მიზნით.

1.2 სახელმწიფო ზედამხედველობის ობიექტებია:

– პროდუქცია, მათ შორის , იმპორტული და სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქცია;

– მომსახურების სფეროს სამუშაოები, მათ შორის , სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული;

– ტექნიკური დოკუმენტაცია პროდუქციასა და მომსახურებაზე;

– დამამზადებლის (გამყიდველის, შემსრულებლის) საგამოცდო ლაბორატორიების (ცენტრების) სერტიფიკაციის ორგანოების საქმიანობა და მათ მიერ სავალდებულო სერტიფიკაციასთან დაკავშირებული სამუშაოები;

– გამოყენებული გაზომვათა საშუალებები, გაზომვის და გამოცდის მეთოდები;

1.3 სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება საწარმოებში (მათ შორის , უცხოური ინვესტიციებით შექმნილში), გაერთიანებაში, ორგანიზაციებში, საგამოცდო ცენტრებსა და სერტიფიკაციის ორგანოებში, ინდ. მეწარმეებთან და სხვა მეურნე სუბიექტებთან, მიუხედავად მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

1.4 სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის მთელ სტადიაზე,

მისი შემუშავების, წარმოების, შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციის (მიწოდების, გაყიდვის), მოხმარების (ექსპლუატაციის), აგრეთვე სამუშაოთა შესრულებისა და მომსახურების გაწევის ეტაპებზე.

1.5 სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებისას გამოიყენება შემდეგი პროცედურები: პროდუქციის გამოცდა, ტექნიკური დათვალიერება, გაზომვითი კონტროლი, პროდუქციის იდენტიფიკაცია და სხვა მეთოდები, რაც უზრუნველყოფს შედეგების უტყუარობას და ობიექტურობას.

1.6 სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებენ საქსტანდარტის თანამდებობის პირები – სტანდარტებზე და გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის მთავარი, უფროსი, წამყვანი ინსპექტორები და სახელმწიფო ინსპექტორები (შემდგომ –სახელმწიფო ინსპექტორები), რომლებსაც გააჩნიათ დადგენილი ნიმუშის დამადასტურებელი პირადობის მოწმობები.

1.7 საქსტანდარტის თავმჯდომარე თანამდებობრივად ამავე დროს არის სტანდარტებზე და გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის საქართველოს მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი. მისი არყოფნის შემთხვევაში ამ უფლება -მოვალეობებს ასრულებს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

საქსტანდარტის თავმჯდომარის მოადგილეები ზედამხედველობის სფეროში, სახელმწიფო კონტროლის და ზედამხედველობის მთავარი სამმართველოს უფროსი, თანამდებობრივად არიან სტანდარტებზე და გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის საქართველოს წამყვანი სახელმწიფო ინსპექტორები.

საქსტანდარტის აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები თანამდებობრივად არიან სტანდარტებზე და გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორები.

საქსტანდარტის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, ზედამხედველობის სფეროში საქსტანდარტის სამმართველოს უფროსები, თანამდებობრივად არიან სტანდარტებზე და გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის საქართველოს უფროსი სახელმწიფო ინსპექტორები.

საქსტანდარტის ტერიტორიული ორგანოების უფროსები, მათ სამოქმედო ტერიტორიებზე თანამდებობრივად არიან სტანდარტებზე და გაზომვათა ერთიანობის უზრუნველსაყოფად ზედამხედველობის უფროსი სახელმწიფო ინსპექტორები.

სტანდარტებზე და გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორები გადიან ატესტაციას და მტკიცდებიან სახელმწიფო ინსპექტორებად საქსტანდარტის მიერ დადგენილი წესით.

1.8 საზედამხედველო ობიექტის ხელმძღვანელი ვალდებულია სახელმწიფო ინსპექტორებს შეუქმნას ყველა პირობა მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში, მათ შორის , უზრუნველყოს:

– დავალებისა და პირადობის მოწმობის წარდგენის შემდეგ სახელმწიფო ინსპექტორების შეუფერხებელი დაშვება სამომსახურეო და საწარმოო სათავსებში;

– სახელმწიფო ზედამხედველობის ჩასატარებლად საჭირო ტექნიკური საშუალებების და სპეციალისტების გამოყენება, დოკუმენტაციისა და მონაცემების წარდგენა;

– სინჯების და პროდუქციის ნიმუშების აღება სტანდარტიზაციის დარგში მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად, გახარჯული ნიმუშების ღირებულების და გამოცდის (ანალიზის, გამოცდის) ჩასატარებლად გაწეული ხარჯების მიკუთვნებით საწარმოო დანახარჯებთან.

2. სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების ზოგადი წესები

2.1 სახელმწიფო ზედამხედველობის სამუშაოთა დაგეგმვა და მათი შემდგომი რეალიზაცია შერჩევითი შემოწმების გზით ითვალისწინებს:

– ზედამხედველობის პრიორიტეტულ მიმართულებებს;

– საქსტანდარტის მიზნობრივ დავალებებს;

– სახელმწიფო მართვის ორგანოების მომართვებს;

– მომხმარებელთა ინფორმაციას და სხვა გარემოებებს, რომლებიც მოითხოვ ს კონკრეტული მეურნე სუბიექტის შემოწმებას;

– სერტიფიკაციის სახელმწიფო რეესტრის ინფორმაციას სერტიფიცირებული პროდუქციის, აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიების და სერტიფიკაციის ორგანოების შესახებ;

– სხვა ოპერატულ ინფორმაციას და დავალებებს.

2.2 სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება ერთი სახელმწიფო ინსპექტორის ან კომისიის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო ინსპექტორი (შემოწმების ხელმძღვანელი), შემოწმების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია სამუშაოს ჩატარებაზე მასზე გაცემული წერილობითი დავალების (დანართი 1) ფარგლებში.

2.3 სახელმწიფო ზედამხედველობას აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიების და სერტიფიკაციის ორგანოების მიერ სავალდებულო სერტიფიკაციის წესების დაცვაზე ახორციელებს კომისია, რომლის შემადგენლობას, ხელმძღვანელს და მუშაობის ჩატარების წესს განსაზღვრავს სტანდარტებზე და გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის წამყვანი სახელმწიფო ინსპექტორი. კომისიის მუშაობის შედეგების მიხედვით გადაწყვეტილებას იღებს მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი.

2.4 შემოწმებისათვის მომზადების პერიოდში საჭიროა:

– გაანალიზდეს წინა შემოწმების შედეგები, მათ შორის , შემოწმებები, ჩატარებული სხვა მაკონტროლებელი ორგანოების მიერ;

– შესწავლილ იქნ ე ს ყველა ის საჭირო ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც ეხება შესამოწმებელ ობიექტს;

– დამუშავდეს საჭიროების შამთხვევაში შემოწმების პროგრამა.

2.5 შესამოწმებელ მეურნე სუბიექტთან მისვლისას შემოწმების ხელმძღვანელი:

– წარუდგენს ხელმძღვანელობას დადგენილი ფორმის დავალებას, აცნობს მას შემოწმების ამოცანებს (შემოწმების პროგრამას);

– ანაწილებს სამუშაოებს შემოწმების მონაწილეებს, სახელმწიფო ინსპექტორებსა და მოწვეულ სპეციალისტებს შორის;

– განსაზღვრავს საჭირო მასალებისა და დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელიც უნდა წარადგინოს მეურნე სუბიექტმა შემოწმების განსახორციელებლად;

– საჭირო შემთხვევაში მოიწვევს სათანადო სპეციალისტებს და უზრუნველყოფს ტექნიკური საშუალებების გამოყენებას გარე ორგანიზაციებიდან.

3. სტანდარტების მოთხოვნათა დაცვის და მეტროლოგიური უზრუნველყოფის სახელმწიფო ზედამხედველობის ჩატარების წესი

3.1 პროდუქციაზე სტანდარტებით დადგენილი მაჩვენებლების ობიექტურად განსაზღვრის უზრუნველსაყოფად მოწმდება გაზომვათა საშუალებების მდგომარეობა და გამოყენების სისწორე, გაზომვათა შესრულების მეთოდიკების და გაზომვათა შედეგების დამუშავების ჩათვლით, რაც აისახება ცნობის სახით (დანართი 2).

3.2 სტანდარტების სავალდებულო მოთხოვნების დაცვის შესაფასებლად აიღება პროდუქციის ნიმუშები (სინჯები). პროდუქციის ნიმუშებს იღებს სტანდარტებზე სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელი თანამდებობის პირი შესამოწმებელი ობიექტის თანამდებობის ან პასუხისმგებელი პირის თანდასწრებით;

– პროდუქციის ის პარტია, რომლიდანაც ნიმუშებია აღებული, არ ექვემდებარება რეალიზაციას შემმოწმებლის ნებართვის გარეშე.

3.3 ნიმუშის აღების მეთოდიკა და რაოდენობა (მოცულობა) უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულ პროდუქციაზე სტანდარტების მოთხოვნებს.

თუ სტანდარტი პროდუქციაზე ითვალისწინებს მიმყოლ (უწყვეტ) კონტროლს, მაშინ დასაშვებია ჩატარდეს შერჩევითი კონტროლი, რომლის მოცულობას ადგენს შემოწმების ხელმძღვანელი სახელმწიფო ინსპექტორი.

3.4 ნიმუშების გამოცდის შედეგები ვრცელდება მთელ იმ პარტიაზე ან რაოდენობაზე, რომლიდანაც ის იყო აღებული.

3.5 ნიმუშის აღება ხდება შესამოწმებელი პროდუქციის ყველა პარტიიდან ცალ-ცალკე. პარტიად იწოდება პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც განსაზღვრულია სტანდარტების მოთხოვნების მიხედვით ან სხვა ნორმატიული დოკუმენტით. იმ შემთხვევაში , თუ პროდუქციის ასეთი რაოდენობა ფაქტ ობრივა დ არ არის, მაშინ პარტიად შეიძლება ჩაითვალოს პროდუქციის ის რაოდენობა, რომელიც შემოწმებას ექვემდებარება.

3.6 ნიმუშების აღება ფორმდება აქტით (დანართი 3). აღებული ნიმუშები განცალკევდება პარტიისაგან , იფუთება და ილუქება. გამოცდა ტარდება შესამოწმებელი ობიექტის სპეციალისტების მიერ სახელმწიფო ინსპექტორის თანდასწრებით და ფორმდება ოქმით (დანართი 4), თუ ობიექტს არ გააჩნია სათანადო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს გამოცდის სათანადო სიზუსტეს, მაშინ გამოცდა უნდა ჩატარდეს აკრედიტებულ საგამოცდო ცენტრებში (ლაბორატორიებში) ან სხვა კომპეტენტურ ორგანიზაციებში.

3.7 სტანდარტების მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის შეფასება ხდება სტანდარტებით გათვალისწინებული კონტროლის და გამოცდის (ანალიზების, გაზომვების) შედეგების ანალიზის საფუძველზე.

პროდუქციის იდენტიფიკაციას, ტექნიკურ დათვალიერებას, ორგანოლეპტიკურ კონტროლს ახორციელებს საქსტანდარტის სახელმწიფო ინსპექტორი შესამოწმებელი მეურნე სუბიექტის წარმომადგენლის თანდასწრებით და ფორმდება აქტით (დანართი 5).

3.8 სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული პროდუქციის კონტროლისას აგრეთვე მოწმდება:

– უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ან აღიარებული სერტიფიკატის არსებობა, მისი გაფორმების, რეგისტრაციის და მოქმედების ვადის სისწორე;

– საინსპექციო კონტროლის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები და შედეგები;

– შესაბამისობის ნიშნის გამოყენების სისწორე;

– სერტიფიცირებული პროდუქციის შესახებ მომხმარებლამდე ინფორმაციის დაყვანის სისწორე;

– სერტიფიკაციის ორგანომდე ტექნიკურ და ტექნოლოგიურ დოკუმენტაციაში ცვლილებების შესახებ ინფორმაციის დროული დაყვანა.

3.9 სახელმწიფო მეტროლოგიური ზედამხვედელობა ხორციელდება გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემის სახელმძღვანელო დოკუმენტის სდ 02570339-012-95 თანახმად.

4. სავალდებულო სერტიფიკაციის წესების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ჩატარების წესი

4.1 აკრედიტირებული საგამოცდო ლაბორატორიის (ცენტრის) მიერ სავალდებულო პროდუქციის სერტიფიკაციის წესების დაცვის შემოწმებისას უნდა დადგინდეს:

– საგამოცდო ლაბორატორიის აკრედიტაციის ატესტატის ან მისი მოქმედების ვადების დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობა სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარების უფლებაზე;

– პროდუქციის სასერტ ი ფიკაციო გამოცდების სახეების შესაბამისობა ლაბორატორიის აკრედიტაციის სფეროსთან;

– სტანდარტიზაციის ნორმატიული დოკუმენტების ფონდის არსებობა, რომელიც პროდუქციის

გამოცდებისათვის არის აუცილებელი.

– საგამოცდო მოწყობილობების, გაზომვათა საშუალებების მდგომარეობა და სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარებისათვის საჭირო მეთოდიკები;

– საგამოცდო პროდუქციის ნიმუშების აღების აქტების და ნიმუშების ნიშანდების სისტემის არსებობა;

– პროდუქციის ნიმუშების სახელმწიფო სტანდარტებთან შესაბამისობაზე ჩატარებული გამოცდების სისრულე;

– გამოცდების ჩატარების პროგრამების და მეთოდიკების დაცვა;

– გამოცდის ოქმების გაფორმების სისწორე და უტყუარობა.

4.2 პროდუქციის სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სავალდებულო სერტიფიკაციის წესების დაცვის შემოწმებისას უნდა დადგინდეს:

– სერტიფიკაციის ორგანოს აკრედიტაციის ატესტატის და განსაზღვრული სამუშაოების ჩატარების უფლების არსებობა;

– პროდუქციის სერტიფიცირებისათვის სტანდარტიზაციის ნორმატიული დოკუმენტების ფონდის არსებობა;

– სერტიფიკაციის ორგანოზე მიმაგრებული პროდუქციის სერტიფიკაციის ჩატარების წესების განმსაზღვრელი დოკუმენტების არსებობა;

– აკრედიტაციის სფეროს მიხედვით სერტიფიკატების დასაბუთებულად გაფორმებისა და გაცემის სისწორე;

– პროდუქციაზე სერტიფიკატის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევები, თუ იგი სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგებით არ შეესაბამებოდა სტანდარტების მოთხოვნებს;

– სერტიფიცირებულ პროდუქციაზე საინსპექციო კონტროლის ჩატარების სისწორე.

5. სახელმწიფო ზედამხედველობის შედეგების გაფორმება

5.1 პროდუქციის გამოცდის, გაზომვითი კონტროლის (ორგანოლეპტიკური კონტროლის), დათვალიერებისა და იდენტიფიკაციის შედეგების საფუძველზე შედგება დადგენილი ფორმის ოქმი (დანართი 4) და აქტი (დანართი 5), რომლებშიც დადებითი შედეგების შემთხვევაში კეთდება სათანადო ჩანაწერები.

სახელმწიფო ზედამხედველობის შედეგად სტანდარტების მოთხოვნების, სავალდებულო სერტიფიკაციის წესების დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში ფორმდება შემოწმების აქტი (დანართი 6) – მრეწველობისათვის, (დანართი 7) – მომსახურების სფეროსათვის.

შემოწმების აქტი წარმოადგენს დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც გაიცემა მიწერილობები და მიიღება გადაწყვეტილება მომქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ზემოქმედებითი ღონისძიებების გასატარებლად.

5.2 შემოწმების აქტში მოკლედ ხასიათდება შესამოწმებელი მეურნე სუბიექტის საქმიანობა, გამოვლენილი დარღვევები, მათი გამომწვევი მიზეზები, შესაძლო შედეგები და სხვა მონაცემები, რომელიც საშუალებას იძლევა დასაბუთებული ზომების გასატარებლად.

აქტს ხელს აწერს შემოწმების ყველა მონაწილე. პასუხისმგებლობა აქტში მოყვანილი მონაცემების სისრულეზე, უტყუარობაზე და ობიექტურობაზე ეკისრება შემოწმების ხელმძღვანელს.

აქტს ეცნობა შესამოწმებელი მეურნე სუბიექტის ხელმძღვანელი, რომელიც ხელს აწერს მის მიღებაზე. ხელის მოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში შემოწმების აქტში ამის შესახებ კეთდება შესაბამისი აღნიშვნა. მეურნე სუბიექტის თანამდებობის პირს უფლება აქვს თავისი განსაკუთრებული მოსაზრებები სახელმწიფო ზედამხედველობის შედეგებზე ჩამოაყალიბოს ცალკე, რომელიც უნდა დაერთოს აქტს.

აქტის ერთი ეგზემპლარი თანდართული მასალებით და მიწერილობებით გადაეცემა შემოწმებულ მეურნე სუბიექტს.

5.3 შესამოწმებელი მეურნე სუბიექტის ხელმძღვანელი შემოწმების აქტის და მიწერილობების საფუძველზე ატარებს ღონის ძ იებებს გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად.

5.4 სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები აკონტროლებენ გაცემული მიწერილობების შესრულებას განმეორებითი შემოწმების გზით.

6. სახელმწიფო ზედამხედველობის შედეგების რეალიზაცია

6.1 სახელმწიფო ზედამხედველობის შედეგებით სტანდარტების მოთხოვნების, პროდუქციის, სამუშაოების, მომსახურების სერტიფიკაციის წესების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, იურიდიული, უფლებამოსილი და თანამდებობის პირებისადმი გამოიყენება კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი საშუალებები.

6.2 შემოწმების აქტი, რომლითაც დადგენილია სტანდარტების მოთხოვნების დარღვევები, რომლის საფუძველზეც მიღებულია ან უნდა იქნ ე ს მიღებული ზემოქმედების ღონისძიებები, დანართებით და მიწერილობებით შემოწმების ხელმძღვანელის მიერ წარედგინება საქსტანდარტის ქვედანაყოფის უფროსს, რომელმაც ჩაატარა საზედამხედველო სამუშაოები. იმ შემთხვევაში, როდესაც შემოწმების მასალების მიხედვით საჭიროა სტანდარტებზე და გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის კომპეტენციაში შემავალი გადაწყვეტილების მიღება, შემოწმების აქტი წარედგინება აგრეთვე საქსტანდარტის სახელმწიფო კონტროლის და ზედამხედველობის მთავარ სამმართველოს.

საჭიროების შემთხვევაში შემოწმების მასალები ეგზავნება აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს და (ან) საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

6.3 საგამოცდო ლაბორატორიების (ცენტრების) და სერტიფიკაციის ორგანოების მიერ სავალდებულო სერტიფიკაციის წესების დარღვევის შემთხვევაში შემოწმების აქტი იგზავნება განსახილველად საქსტანდარტის

სახელმწიფო კონტროლის და ზედამხედველობის მთავარ სამმართველოში.

6.4 სტანდარტების მოთხოვნების და სავალდებულო სერტიფიკაციის წესების დარღვევისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ღონისძიებების გატარება თავისი კომპეტენციის ფარგლებში სავალდებულოა საქსტანდარტის სტრუქტურაში შემავალი ყველა ტერიტორიული ორგანოსათვის, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს და ზედამხედველობას.

7. სტანდარტების მოთხოვნების, სავალდებულო სერტიფიკაციის წესებისა და მეტროლოგიური უზრუნველყოფის დარღვევისათვის მიწერილობის გაცემის და დაჯარიმების წესი

საქსტანდარტი და მისი ტერიტორიული ორგანოები ადმინისტრაციული კოდექსის და ამ წესის შესაბამისად გასცემენ მიწერილობებს და აჯარიმებენ სტანდარტების მოთხოვნების და სავალდებულო სერტიფიკაციის წესების დარღვევისათვის, საქართველოს კანონების „ სტანდარტიზაციის შესახებ“, „ პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“, „ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ შესაბამისად პროდუქციის დამამზადებლებს (შემსრულებლებს, გამყიდველებს) სერტიფიკაციის ორგანოებს და საგამოცდო ლაბორატორიებს (ცენტრებს).

7.1 ზოგადი დებულებები

7.1.1 ზემოაღნიშნული კანონებით გათვალისწინებულ მიწერილობებს, დადგენილებებს ჯარიმის მიყენების თაობაზე გასცემენ საქსტანდარტის და მისი ტერიტორიული ორგანოების თანამდებობის პირები სტანდარტებზე და გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

7.1.2 მიწერილობის გაცემის და ჯარიმის მიყენებაზე დადგენილების გამოტანის საფუძველს წარმოადგენს დადგენილი წესით ჩაბარებული შემოწმების აქტი, რომელიც შეიცავს ობიექტურ მონაცემებს მეურნე სუბიექტის მიერ სტანდარტების მოთხოვნების და სავალდებულო სერტიფიკაციის წესების დარღვევის თაობაზე.

7.1.3 წინამდებარე წესით გათვალისწინებული მიწერილობები მეურნე სუბიექტზე, დამამზადებელზე (შემსრულებელზე, გამყიდველზე) გაიცემა მთავარი, წამყვანი, უფროსი სახელმწიფო ინსპექტორების და სახელმწიფო ინსპექტორების მიერ.

7.1.4 ჯარიმებს მეურნე სუბიექტებზე, დამამზადებლებზე (შემსრულებლებზე, გამყიდველებზე) სერტიფიკაციის ორგანოებზე და საგამოცდო ლაბორატორიებზე (ცენტრებზე) ადებენ მთავარი, წამყვანი და უფროსი სახელმწიფო ინსპექტორები მიღებული დადგენილების საფუძველზე.

7.1.5 პ.1.3 და 1.4 მითითებული თანამდებობის პირების დროებითი არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა) შემთხვევაში მიწერილობებს გასცემენ და საქმეებს განიხილავენ მათი მოვალეობის შემსრულებელი თანამდებობის პირები.

7.1.6 საქსტანდარტი და მისი ტერიტორიული ორგანოები აღრიცხავენ გაცემულ მიწერილობებს, დადგენილებებს და აკონტროლებენ მათ შესრულებას.

7.2 მიწერილობების გაცემის წესი

7.2.1 სახელმწიფო კონტროლის და ზედამხედველობის შედეგების მიხედვით, მთავარ სახელმწიფო ინსპექტორებს და სახელმწიფო ინსპექტორებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლიათ გასცენ შემდეგი მიწერილობები.

7.2.1.1. მიწერილობა სტანდარტების მოთხოვნების, მათ შორის , პროდუქციის უსაფრთხოებისადმი მოთხოვნების დარღვევების აღმოსაფხვრელად (დანართი 8). მიწერილობა გაიცემა პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე, აგრეთვე სამუშაოს შესრულებისას და მომსახურების გაწევისას მეურნე სუბიექტზე, დამამზადებელზე (შემსრულებელზე, გამყიდველზე), თუ გამოვლენილი დარღვევები შესაძლებელია აღმოიფხვრას.

7.2.1.2. მიწერილობა პროდუქციის რეალიზაციის (მიწოდების, გაყიდვის), მოხმარების (ექსპლუატაციის), სამუშაოთა შესრულების და მომსახურების გაწევის შეჩერებაზე (დანართი 9). მიწერილობა გაიცემა:

ა) მეურნე სუბიექტზე, როდესაც პროდუქცია სამუშაოა და მომსახურება არ შეესაბამება სტანდარტების სავალდებულო მოთხოვნებს, მაგრამ გამოვლენილი შეუსაბამობა შესაძლებელია გამოსწორდეს ;

ბ) დამამზადებელზე (შემსრულებელზე, გამყიდველზე), როდესაც არ არსებობს საკმარისი და ობიექტური ინფორმაცია პროდუქციაზე და მოქმედებს პროდუქციაზე ინფორმაციისადმი მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრამდე.

7.2.1.3. მიწერილობა შემოწმებული პროდუქციის რეალიზაციის (მიწოდების, გაყიდვის), მოხმარების (ექსპლუატაციის), აგრეთვე სამუშაოთა შესრულების და მომსახურების გაწევის აკრძალვაზე (დანართი 10).

მიწერილობა გაიცემა პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების სტანდარტების მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში მეურნე სუბიექტზე და მოქმედებს გამოვლენილი შეუსაბამობის აღმოფხვრამდე.

7.2.1.4 მიწერილობა იმპორტული პროდუქციის რეალიზაციის, მომსახურების გაწევის აკრძალვაზე (დანართი 11), რომლებიც არ შეესაბამებიან სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს და საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანი, სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული საქონლის შემოტანის წესს.

მიწერილობა გაიცემა იმპორტული პროდუქციის გამყიდველი და იმპორტული მომსახურების გამწევ მეურნე სუბიექტზე და მოქმედებს გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრამდე.

7.2.1.5 მიწერილობა პროდუქციის წარმოების აკრძალვაზე (დანართი 12) გაიცემა დამამზადებელზე, როდესაც პროდუქციის წარმოების პირობები ვერ უზრუნველყოფენ პროდუქციის გამოშვებას სტანდარტების სავალდებულო მოთხოვნათა შესაბამისად და მოქმედებს წარმოებაზე წერილობითი ნებართვის მიღებამდე.

7.2.2 მიწერილობები, რომლებიც გათვალისწინებულია პ.2.1.1; 2.1.2, გაიცემა სახელმწიფო ინსპექტორების მიერ პ . 2.1.1-2.11.4 მთავარი, წამყვანი და უფროსი სახელმწიფო ინსპექტორების მიერ, ხოლო პ . 2.1.5 მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის მიერ.

7.3. ჯარიმების მიყენების წესი

7.3.1 ჯარიმების მიყენების საფუძველს წარმოადგენენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსები.

7.3.2 მთავარი, წამყვანი და უფროსი სახელმწიფო ინსპექტორები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში იღებენ გადაწყვეტილებებს ჯარიმის მიყენების თაობაზე.

7.3.3 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სახელმწიფო ინსპექტორი ადგენს შესაბამის ოქმს (დანართი 14), რომელიც შემოწმების აქტთან ერთად ედება საფუძვლად ჯარიმის მიყენების შესახებ საქმის განხილვას.

8. წესში ცვლილებების შეტანა

აღნიშნულ წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი 1

საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი
სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მთავარი სამმართველო

380092 თბილისი, ჩარგლის ქ. 6 7 , ტ. 61 72 64; ფაქსი94 09 13

სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება

მისამართი ---------- N ----------
ტელეფონი ---------- – ”-------“---------- – წ.

---------- ---------- ---------- ხელმძღვანელს
მეურნე სუბიექტის დასახელება

მეურნე სუბიექტის მისამართი

საქართველოს კანონების ”სტანდარტიზაციის შესახებ“, ”გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“, ”პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“, „ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ შესაბამისად, თქვენთანწლის ----------დან ტარდება სტანდარტების მოთხოვნების, გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის და სერტიფიკაციის წესების დაცვის შემოწმება

პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების დასახელება

ნორმატიული დოკუმენტის აღნიშვნა

შემოწმების ჩატარება ევალებათ სახელმწიფო ინსპექტორებს

სახელი, გვარი

შემოწმების ხელმძღვანელია:----------

მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გთხოვთ აღნიშნული შემოწმების ჩატარებისათვის შეუქმნათ საჭირო პირობები

მთ. სამმართველოს უფროსი:

(ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი)

დანართი 2

ცნობა

გაზომვათა საშუალებების მდგომარეობის და გამოყენების სისწორის შესახებ. პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) ხარისხის კონტროლისათვის განკუთვნილი

გაზომვების სახეობები	შემოწმებულ გაზომვათა	გაზომვათა საშუალებების რაოდენობა, რომლებიც მიჩნეულია ხმარებისათვის

	საშუალებების რ-ბა	უვარგისად		
		დამოწმების ვადაგასული	წყობიდან გამოსული	სულ მიჩნეულია გამოყენებისათვის უვარგისად

სხვა საჭირო ინფორმაცია

სახელმწიფო ინსპექტორი:
წარმოების წარმომადგენელი:

დანართი 3

საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი

(საქსტანდარტი)
სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მთავარი სამმართველო

სტრუქტურული ქვედანაყოფი

ნიმუშის (სინჯის) აღების აქტი №
---------- ---------- 1999 – წ.

1. ----------
მეურნე სუბიექტის დასახელება, მისამართი, საიდანაც აღებულ იქნა ნიმუში (სინჯი)

2. ----------
ნიმუშის (სინჯის) ამღები თანამდებობის პირების სახელი, გვარი

3. ----------
დამსწრეების სახელი და გვარი

4. ----------
ნორმატიული დოკუმენტის დასახელება მოთხოვნათა შესაბამისობის შესამოწმებლად

აღებულია ნიმუშები (სინჯები)

პროდუქციის დასახელება	დამამზადებელი მომწოდებელი	საზომი ერთ.	გამოშვების თარიღი	პარტიის რაოდენობა	საცალო ფასი	ნიმუშის რაოდენობა

სერტიფიკატის (ხარისხის მოწმობის) № ----------

ნორმატიული დოკუმენტის დასახელება, რომლის მიხედვითაც აღებულ იქნა ნიმუში

დალუქულ იქნა

ლუქის სახე და ნომერი

ლაბორატორიის დასახელება, წარმომადგენლის თანამდებობა და სახელი, გვარი

პროდუქციის იმ პარტიის რეალიზაცია, საიდანაც აღებულ იქნა ნიმუშები (სინჯები) შემოწმების დამთავრებამდე აკრთალულია

ნიმუშის (სინჯის) ამღები:
საქსტანდარტის სახელმწიფო
ინსპექტორი:

---------- ---------- ---------
---------- ----------
---------- ------ ხელმოწერები: მეურნე სუბიექტის
თანამდებობის პირები
_____
_____
_____

ნიმუშები (სინჯები) რაოდენობით მივიღე: _____
ლაბორატორიის წარმომადგენელი

დანართი 4

ოქმი
პროდუქციის გამოცდის შედეგებზე

წლის _____ _____
მეურნე სუბიექტის დასახელება

ჩვენ, საქსტანდარტის სახელმწიფო ინსპექტორებმა _____
სახელი, გვარი

_____ წარმომადგე ნლებთან ერთად

ავიღეთ ნიმუშები პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლის განსაზღვრისათვის, მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით
_____ მოთხოვნებთან
სტანდარტის დასახელება

ნიმუშები აღებულია _____ რაოდენობით და წარდგენილია _____საგამოცდო ლაბორატორიაში

№	პროდუქციის დასახელება	განზ. ერთეული	პარტიის რ-ბა	დამზადების თარიღი

დანართი 4 – ის გაგრძელება

ნდ	ფაქტ	გდ	ფაქტ	ნდ	ფაქტ	გდ	ფაქტ	ნდ	ფაქტ	გდ	ფაქტ

დასკვნა _____

_____

საქსტანდარტის——————————————მეურნე სუბიექტის ——————————

სახელმწიფო ინსპექტორები ——————————— წარმომადგენლები ——————————

_____ _____

დანართი 5

იდენტიფიკაციისა და ტექნიკური დათვალიერების

ა ქ ტ ი

”-------“----------წ. _____

მეურნე სუბიექტის დასახელება

_____

_____

ჩვენ, საქსტანდარტის სახელმწიფო ინსპექტორებმა ——————————————

_____

_____

მეურნე სუბიექტის წარმომადგენლებთან ერთად ——————————————

შევადგინეთ აქტი შემდეგზე:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ხელმოწერები: _____

_____

_____

დანართი 6

საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი

(საქსტანდარტი)

სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მთავარი სამმართველო

სტრუქტურული ქვედანაყოფი

ა ქ ტ ი

„ -------“---------- 1999 ---წ.

_____ _____

სტანდარტის აღნიშვნა და ნომერი მეურნე სუბიექტის დასახელება

_____

_____მოთხოვნათა

დაცვის შემოწმება _____ ხელმძ ღვანელი _____

სახელი, გვარი

_____ _____

პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის დასახელება წარმ. ორგანიზაციის მისამართი

საფუთველი:_____

სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება, რომელმაც გასცა დავალება

_____ დავალება

შედგენილია:

ესწრებოდა:

მეურნე სუბიექტის პასუხისმგებელ პირთა სახელი, გვარი, თანამდებობა

1. საწყისი მონაცემები

2. შემოწმების შედეგები

3. დარღვევების მიზეზები

4. დასკვნები

დანართი:
აქტი შედგენილია ———— ფურცელზე ——— ეგზ. და გაგზავნილია (ჩაბარებულია)

1. ————————————————

2.————————————————

3.————————————————.

შემოწმების ხელმძღვანელი
სახელმწიფო ინსპექტორი ———————————— ————————————
ხელმოწერა გვარი, სახელი

შემოწმების მონაწილენი ———————————— ————————————
ხელმოწერა გვარი, სახელი
———————————— ————————————
———————————— ————————————

აქტის 1 ეგზემპლიარი მივიღე:

მეურნე სუბიექტის ხელმთღვანელი ———————————— ————————————
ხელმოწერა გვარი, სახელი

დანართი 7

საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი

(საქსტანდარტი)
სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მთავარი სამმართველო

——

სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება

შემოწმების აქტი №

„ ----------“ „ --------“---------- – წ.
ქ. თბილისი

——

შემმოწმებლის თანამდებობა, ინიციალები, გვარი

——

დოკუმენტის დასახელება, გაცემის თარიღი და ნომერი, რის საფუ ძ ველზე ც ტარდება შემოწმება

——

ობიექტის დასახელება, მისამართი, ხელმ ძ ღვანელის ინიციალები, გვარი

——

შესამოწმებელი საკითხების ჩამოთვლა

შემოწმება ჩატარებულ იქნა თანდასწრებით:

ინიციალები, გვარი	თანამდებობა	მისამართი

შემოწმება დაიწყო _____ შემოწმება დამთავრდა _____

თვე, რიცხვი, საათი თვე, რიცხვი, საათი

შემოწმებით დადგინდა: _____

ხელის მომწერები:

შემმოწმებლების:

დარღვევაში მხილებული პირების:

დამსწრეები:

ობიექტის ხელმძღვანელი:

შემმოწმებლის წინადადებები გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე

დარღვევაში მხილებული პირების ახსნა-განმარტება:

_____

შენიშვნა:_____

_____

_____

ოქმის ერთი პირი ჩავიბარე:_____

თანამდებობა, ინიციალები, გვარი

დანართი 8

საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი

(საქსტანდარტი)
სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მთავარი სამმართველო

_____

_____

სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება

_____

მეურნე სუბიექტის, დამამზადებელის (შემსრულებლის, გამყიდველის) დასახელება

_____ ხელმძღვანელს

_____

მეურნე სუბიექტის, დამამზადებელის, (შემსრულებლის, გამყიდველის) მისამართი

მიწერილობა

№ _____
_____ 1999 ___ წ.

გაცემულია „ ___ ” _____ 1999 ___ წ.
№ _____ შემოწმების აქტის საფუძველზე

_____

პროდუქციის , საქონლის (სამუშაოების მომსახურების დასახელება, სასიცოცხლო ციკლის სტადია)

_____ შემოწმებისას დადგინდა: სტანდარტების

სავალდებულო მოთხოვნების დარღვევები და სავალდებულო სერტიფიკაციის წესების დარღვევები _____

სტანდარტის, სხვა ნორმატიული დოკუმენტების აღნიშვნა და დასახელება

_____

უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევები

_____

საქართველოს კანონების „ სტანდარტიზაციის შესახებ“, „ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საფუძ ველზე სტანდარტების აღნიშნული დარღვევები.

1999 წლოს ----------მდე უნდა აღმოიფხვრას
ამ მიწერილობის შესრულებისაგან თავის არიდების ან მითითებულ ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობით გეკისრებათ პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით.
გთხოვთ მიწერილობის შესრულების შესახებ გვაცნობოთ 1999 წ ___ მდე

სახელმწიფო ინსპექტორი

დანართი 9

(საქსტანდარტი)
სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მთავარი
სამმართველო

_____

_____

სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება

_____

მეურნე სუბიექტის, დამამზადებელის (შემსრულებლის, გამყიდველის) დასახელება

_____ ხელმძღვანელს

_____

მეურნე სუბიექტის, დამამზადებელის (შემსრულებლის, გამყიდველის) მისამართი

მიწერილობა

№ _____ გაცემულია „ ____ ” _____ 1999 — წ.
_____ წ. № _____ შემოწმების აქტის საფუძველზე

_____

პროდუქციის , საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) დასახელება

_____ შემოწმებისას დადგინდა:

ა. პროდუქცია, საქონელი (სამუშაო, მომსახურეობა) არ შეესაბამება სტანდარტებისა და სავალდებულო სერტიფიკაციის მოთხოვნებს

_____

სტანდარტების აღნიშვნა, დასახელება და მოთხოვნები, რომლებსაც არ შეესაბამება

_____

პროდუქცია, საქონ ე ლი (სამუშაოები, მომსახურება)

ბ. საქონელს , სამუშაოს, მომსახურებას არ გააჩნია საკმარისი უტყუარი ინფორმაცია

_____

_____მითითებულ იქნე
ს ინფორმაცია

საქართველოს კანონების „ სტანდარტიზაციის შესახებ“, „ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, საფუძ ველზე აღნიშნული დარღვევების აღმოფხვრამდე

_____

პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების დასახელება

_____ შეჩერებულია
რეალიზაცია (მიწოდება, გაყიდვა) მომსახურება, ექსპლუატაცია

1999 წლის _____ დან
ამ მიწერილობის შესრულებისაგან თავის არიდების ან მითითებულ ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობით გეკისრებათ პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით.
გთხოვთ მიწერილობის შესრულების შესახებ გვაცნობოთ 1999 წ —— მდე.

_____

სახელმწიფო ინსპექტორი

დანართი 10

(საქსტანდარტი)
სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მთავარი სამმართველო

_____

სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება

_____

მეურნე სუბიექტის, დამამზადებელის (შემსრულებლის, გამყიდველის) დასახელება

_____ ხელმძღვანელს

_____

მეურნე სუბიექტის, დამამზადებელის (შემსრულებლის, გამყიდველის) მისამართი

მ ი წ ე რ ი ლ ო ბ ა

№ _____ _____ 1999 —წ.

გაცემულია „ ——” _____ 1999 — წ.
№ ——— შემოწმების აქტის საფუძველზე

_____

პროდუქციის, საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) დასახელება

_____ შემოწმებისას დადგინდა:

რომ შემოწმებული პროდუქცია, საქონელი (სამუშაო, მომსახურება) არ შეესაბამება სტანდარტებისა და სავალდებულო სერტიფიკაციის მოთხოვნებს

_____

სტანდარტების აღნიშვნა, დასახელება და მოთხოვნები, რომლებსაც არ შეესაბამება

_____

საქართველოს კანონების „ სტანდარტიზაციის შესახებ“, „ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, საფუთველზე აღნიშნული დარღვევების აღმოფხვრამდე

_____

პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების დასახელება

_____

რეალიზაცია (მიწოდება, გაყიდვა) მომსახურება, ექსპლუატაცია

1999 წლის _____ დან იკრძალება

ამ მიწერილობის შესრულებისაგან თავის არიდების ან მითითებულ ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობით გეკისრებათ პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით.

გთხოვთ მიწერილობის შესრულების შესახებ გვაცნობოთ 1999 წ ——— მდე.

_____

სახელმწიფო ინსპექტორი

დანართი 11

საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი

(საქსტანდარტი)
სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მთავარი სამმართველო

_____

_____

სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება

_____

მეურნე სუბიექტის, დამამზადებელის (შემსრულებლის, გამყიდველის) დასახელება

_____ ხელმძღვანელს

_____

მეურნე სუბიექტის, დამამზადებელის (შემსრულებლის, გამყიდველის) მისამართი

მიწერილობა

№ _____ 1999 —წ.

გაცემულია "___" _____ 1999 — წ.

№ _____შემოწმების აქტის საფუძველზე

_____

შემოწმებული იმპორტული პროდუქციის (მომსახურების) დასახელება

_____ შემოწმებისას დადგინდა:

იმპორტული პროდუქცია (მომსახურეობა) არ შეესაბამება სტანდარტებისა და სავალდებულო სერტიფიკაციის მოთხოვნებს

_____

სტანდარტების აღნიშვნა, დასახელება და მოთხოვნები, რომლებსაც არ შეესაბამება

_____

იმპორტული პროდუქცია, (მომსახურება)

საქართველოს კანონების „ სტანდარტიზაციის შესახებ", „ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" საფუძ ველზე აღნიშნული დარღვევების აღმოფხვრამდე

_____

პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების დასახელება

_____

რეალიზაცია (მიწოდება, გაყიდვა) მომსახურება, ექსპლუატაცია

199 წლის _____დან იკრძალება

ამ მიწერილობის შესრულებისაგან თავის არიდების ან მითითებულ ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობით გეკისრებათ პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით.

გთხოვთ მიწერილობის შესრულების შესახებ გვაცნობოთ 199 წ _____მდე.

_____

სახელმწიფო ინსპექტორი

დანართი 12

საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი

(საქსტანდარტი)
სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მთავარი
სამმართველო

_____

სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება

_____

მეურნე სუბიექტის, დამამზადებელის (შემსრულებლის, გამყიდველის) დასახელება

_____ ხელმძღვანელს

_____

მეურნე სუბიექტის, დამამზადებელის (შემსრულებლის, გამყიდველის) მისამართი

მ ი წ ე რ ი ლ ო ბ ა

№ _____

გაცემულია „ ___" _____ 1999 ___ წ.

——————— 1999 —წ.

№ ———შემოწმების აქტის სფუთველზე

_____

პროდუქციის, საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) დასახელება

_____ შემოწმებისას დადგინდა:

რომ შემოწმებული პროდუქცია, საქონელი (სამუშაო, მომსახურება) არ შეესაბამება სტანდარტებისა და სავალდებულო სერტიფიკაციის მოთხოვნებს

_____

აღინიშნოს რა მოთხოვნებია დარღვეული

_____

და პროდუქციის წარმოების პირობები ვერ უზრუნველყოფენ სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ქონებრივი ინტერესების უსაფრთხოების დაცვას

_____

მიეთითოს თირითადი მიზეზი

_____

საქართველოს კანონების „ სტანდარტიზაციის შესახებ“, „ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ _____ საფუძველზე

პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების დასახელება

_____

რეალიზაცია (მიწოდება, გაყიდვა) მომსახურება, ექსპლუატაცია

199 წლის ——————————დან იკრძალება

წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალული პროდუქციის წარმოებით და რეალიზაციისთვის მეურნე სუბიექტის ხელმძღვანელები და თანამდებობის სხვა პირები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ამ მიწერილობის შესრულებისაგან თავის არიდების ან მითითებულ ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობით გეკისრებათ პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით.

გთხოვთ მიწერილობის შესრულების შესახებ გვაცნობოთ 199 წ. ----------მდე.

_____

სახელმწიფო ინსპექტორი

დანართი 13

საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი

(საქსტანდარტი)
სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მთავარი
სამმართველო

_____

სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება

_____ ხელმძღვანელს

მეურნე სუბიექტის, დამამზადებელის (შემსრულებლის, გამყიდველის) დასახელება

_____

სახელი, გვარი

გეგზავნებათ_____ რეალიზაციის (წარმოების)

პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების დასახელება

ნ ე ბ ა რ თ ვ ა

”——”——————— 1999 —წ.

გაცემულია განმეორებითი შემოწმების სფუძველზე

აქტი № ——————— ”———”——————— 1999 —წ.

ნებართვა გაცემულია საქსტანდარტის წლის

№ ----------მიწერილობის მოქმედების შეჩერების შესახებ.

_____

სახელმწიფო ინსპექტორი

დანართი 14

საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი

(საქსტანდარტი)
სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მთავარი
სამმართველო

_____

სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება

ოქმი
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე

_____ „ _____“ _____ 1999 — წ.

შეადგინა _____

ოქმის შემდგენელის თანამდებობა, გვარი, სახელი

დამრღვევის პირადობის მონაცემები_____

გვარი, სახელი

სამუშაო ადგილი_____

ობიექტის დასახელება, მისამართი

მუდმივი საცხოვრებელი ადგილი _____

მისამართი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ადგილი დრო და არსი_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ამ სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ დარღვევათა კოდექსის _____მუხლით.

მოწმეებისა და დაზარალებულების გვარი , სახელი და მისამართი, თუ ასეთები არიან

_____

_____

დამრღვევი პირის ახსნა-განმარტება

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

დამრღვევი პირის ხელმოწერა _____

ოქმის შემდგენელი
საქსტანდარტის თანამდებობის პირი _____ _____
პირადი ხელმოწერა გვარი

_____ _____
მოწმეების ხელმოწერა დაზარალებულის ხელმოწერა

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები:
ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს დედაენაზე და, თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში.

საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი

სდ 20473172 – 023 – 99

სახელმძღვანელო დოკუმენტი სტანდარტიზაციაში

სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემა

მოთხოვნები სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორებისადმი და მათი მომზადების წესი

საინფორმაციო მონაცემები

1. **შემუშავებულია და შემოტანილია** საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ
შემსრულებელი საქსტანდარტის სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მთავარი სამმართველო
2. **დამტკიცებულია და შემოღებულია სამოქმედოდ** საქსტანდარტის 1999 წლის2 მარტის № 20 ბრძანებით
3. **ნაცვლად სდ 02570339 – 008 – 97**

მოთხოვნები სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორებისადმი და მათი მომზადების წესი.

წინამდებარე დოკუმენტი ადგენს სტანდარტების მოთხოვნების, სავალდებულო სერტიფიკაციის წესებისა და მეტროლოგიური უზრუნველყოფის დაცვაზე ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორების (შემდგომ – „ სახელმწიფო ინსპექტორი“) მიმართ წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს. მათი სწავლების ორგანიზაციისა და მომზადების წესს, რომელიც ტარდება საქსტანდარტის მიერ დამტკიცებული ყოველწლიური გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

დოკუმენტი განკუთვნილია საქსტანდარტისა და უფლებამოსილი სახელმწიფო მართველობის ორგანოების სახელმწიფო ინსპექტორების საქმიანობისათვის, რომელიც ხორციელდება სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სფეროში მომქმედი კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილების, აღკვეთის და აღმოფხვრის მიზნით.

1. ძირითადი დებულებები

1.1 სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის და სერტიფიკაციის სფეროში საზედამხედველო სამუშაოთა ჩატარების უფლება ეძლევა საქსტანდარტისას და სახელმწიფო მართველობის ორგანოების თანამდებობის პირს, რომელსაც დადგენილი წესით გავლილი აქვს ატესტაცია დაკავებული თანამდებობის შესაბამისობაზე და მინიჭებული აქვს სახელმწიფო ინსპექტორის წოდება.

1.2 სახელმწიფო ინსპექტორის წოდება შეიძლება მიენიჭოს საქსტანდარტის, მისი ტერიტორიული ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების თანამდებობის პირებს, რომლებიც მუშაობენ სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის ზედამხედველობის სფეროში არა ნაკლებ ერთი წლისა, გააჩნიათ სათანადო განათლება, საჭირო კომპეტენტურობა და პასუხობენ ამ დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს.

1.3 სახელმწიფო ინსპექტორის წოდების მინიჭება ხდება საქსტანდარტის თავმჯდომარის ბრძანებით საქსტანდარტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წარდგინებით, მუშაკის დადგენილი წესით მომზადების შემდეგ, სპეციალიზებული საგამოცდო- საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

1.4 ცალკეულ შემთხვევაში საქსტანდარტის სტრუქტურული ქვეგანაყოფების უფროსებს, ტერიტორიული ორგანოების უფროსებს და მუშაკებს, რომელთაც გააჩნიათ მუშაობის საკმარისი გამოცდილება, წოდება შეიძლება მიენიჭოთ უშუალოდ საქსტანდარტის თავმჯდომარის ბრძანებით.

1.5 დგინდება სახელმწიფო ინსპექტორის შემდეგი წოდებები:

– მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი;

– წამყვანი სახელმწიფო ინსპექტორი;

– უფროსი სახელმწიფო ინსპექტორი;

– სახელმწიფო ინსპექტორი.

1.6 საქსტანდარტის თავმჯდომარე თანამდებობრივად არის სტანდარტების მოთხოვნების, სავალდებულო სერტიფიკაციის წესებისა და მეტროლოგიური უზრუნველყოფის დაცვაზე ზედამხედველობის საქართველოს მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი.

1.7 საქსტანდარტის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები თანამდებობრივად არიან სტანდარტების მოთხოვნების, სავალდებულო სერტიფიკაციის წესებისა და მეტროლოგიური უზრუნველყოფის დაცვაზე ზედამხედველობის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორები.

2. მოთხოვნები სახელმწიფო ინსპექტორებისადმი

2.1 სახელმწიფო ინსპექტორი უნდა იყოს დამოუკიდებელი, მუშაობის პირობები უნდა გამორიცხავდეს დაინტერესებულ პირთაგან მასზე კომერციული, ფინანსური, ადმინისტრაციული ან სხვა რაიმე სახის ზეგავლენას.

2.2 სახელმწიფო ინსპექტორს უნდა გააჩნდეს:

– უმაღლესი ან სპეციალური განათლება, თავისი საქმიანობის სფეროში;

– პრაქტიკული მუშაობის სტაჟი სპეციალობის მიხედვით არანაკლებ სამი წლისა, მათ შორის, ერთი წლისა სტანდარტებზე და გაზომვათა საშუალებებზე ზედამხედველობის, სერტიფიკაციის სამუშაოების ან პროდუქციის ხარისხის კონტროლის სფეროში.

2.3 სახელმწიფო ინსპექტორი უნდა იცავდეს საჯარო მოხელის ფიცს და ახასიათებდეს:

– ლოგიკური დასაბუთების, ანალიზის, არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარი;
– ობიექტურობა, პრინციპულობა და პასუხისმგებლობის გრძნობა;
– შეეძლოს მიუკერძოებლად შეკრიბოს და შეაფასოს ფაქტობრივი მონაცემები;
– არ სცვლიდეს გაკეთებულ დასკვნებს მასზე რაიმე ზეგავლენის გამო ან ფაქტებზე დაუყრდნობლად.

2.4 სახელმწიფო ინსპექტორს უნდა გააჩნდეს სათანადო ცოდნა და ფლობდეს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ მომქმედ კანონმდებლობას, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის და სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემების, სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის ნორმატიული აქტების დებულებებს.

2.5 სახელმწიფო ინსპექტორს უფლება აქვს შესამოწმებელ ობიექტზე იყოს შემოწმების ხელმძღვანელი ან ჩაატაროს შემოწმება დამოუკიდებლად სხვა სპეციალისტების მონაწილეობის გარეშე.

3. სახელმწიფო ინსპექტორის მომზადების ორგანიზაცია

3.1 სახელმწიფო ინსპექტორის წოდების მინიჭებისათვის აუცილებელი პირობაა მისი მომზადება (გადამზადება) საქსტანდარტის საბაზო-სასწავლო ორგანიზაციაში –სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში.

3.2 ინსტიტუტში ჩარიცხვა წარმოებს საქსტანდარტის მიერ დამტკიცებული გეგმა-გრაფიკისა და წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

3.3 სახელმწიფო ინსპექტორის წოდების მაძიებელმა სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
– განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე;
– უმაღლესი ან სპეციალური განათლების დამადასტურებელი საბუთის ასლი;
– ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;
– სწავლების ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3.4 სახელმწიფო ინსპექტორის მომზადება ხდება ორ ეტაპად:
– თეორიული მასალის შესწავლა; სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სავალდებულო პრაქტიკა (სტაჟირება) საწარმოებსა და ორგანიზაციებში. მომზადება (გადამზადება) მთავრდება საკურსო სამუშაოს დაცვით, ტესტირებით და გამოცდებით.

3.5 სწავლების პროგრამას და ხანგრძლივობას, სწავლების ფორმას, სავალდებულო პრაქტიკის (სტაჟირების) ადგილს და ცოდნის შეფასების ფორმას განსაზღვრავს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი საქსტანდარტთან შეთანხმებით.

3.6 ცალკეულ შემთხვევებში სავალდებულო პრაქტიკისაგან (სტაჟირებისაგან) შეიძლება გათავისუფლდნენ ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილების მქონე მუშაკები. ასეთ შემთხვევაში მათ უნდა წარმოადგინონ უკანასკნელ პერიოდში საზედამხედველო სამუშაოების სფეროში შესრულებული ნამუშევრების ჩამონათვალი და შედეგები (დამოუკიდებელი საექსპერტო დასკვნით).

3.7 სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კურსის დამთავრების შემდეგ თითოეული მსმენელის ცოდნის შეფასებას ახდენს საქსტანდარტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზებული საგამოცდო კომისია, რომელიც იქმნება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით.

3.8 საგამოცდო კომისიის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი გასცემს დადგენილი ფორმის მოწმობას სასწავლო კურსის დამთავრების შესახებ, რომელიც წარედგინება საკონკურსო-საატესტაციო კომისიას ატესტაციის ჩატარების დროს და ინახება მუშაკის პირად საქმეში. საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

3.9 სახელმწიფო ინსპექტორის მიერ მასზე მინიჭებული უფლებების და/ან მასზე დაკისრებული მოვალეობების არაერთგზის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მისი ხელმძღვანელის წარდგინებისა და არგუმენტირებული გადაწყვეტილების საფუძველზე, შეიძლება დაისვას საკითხი სახელმწიფო ინსპექტორის წოდების შეჩერების ან ვადამდე მოხსნის თაობაზე.

3.10 სახელმწიფო ინსპექტორის წოდების შეჩერების ან ვადამდე მოხსნის საკითხს იხილავს საქსტანდარტის საკონკურსო-საატესტაციო კომისია, რომელიც მას განიხილავს, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა 2/3. გადაწყვეტილებას კომისია იღებს ხმათა უმრავლესობით.

სახელმწიფო ინსპექტორის წოდების შეჩერების ან მოხსნის შემთხვევაში საატესტაციო კომისია ხელმძღვანელობს წინამდებარე წესების მოთხოვნებით.

კომისის გადაწყვეტილება სახელმწიფო ინსპექტორის წოდების შეჩერების ან
მოხსნის შესახებ ფორმდება საქსტანდარტის თავმჯდომარის ბრძანებით.

3.11 სახელმწიფო ინსპექტორის წოდების მოხსნის გადაწყვეტილების შემთხვევაში საკონკურსო-საატესტაციო კომისია იძლევა რეკომენდაციას მუშაკის დასაქმებისათვის საქსტანდარტის იმ ქვედანაყოფებში, რომელიც არ არის დაკავშირებული საზედამხედველო სამუშაოებთან.

3.12 მუშაკს, რომლის მიმართაც საატესტაციო კომისიის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება სახელმწიფო ინსპექტორის წოდების შეჩერების ან მოხსნის თაობაზე, აქვს უფლება მიმართოს ზემდგომ სახელმწიფო ორგანოს ან სასამართლოს.

სასახელმძღვანელო დოკუმენტი სერტიფიკაციაში

სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემა

მოთხოვნები სერტიფიკაციის ექსპერტებისადმი, მათი მომზადებასა და ატესტაციის წესი

თბილისი
1999

საინფორმაციო მონაცემები

1. **შემუშავებულია** საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის – საქსტანდარტის მიერ

შემუშავებულია საქსტანდარტის სერტიფიკაციის სამმართველო

2. **დამტკიცებული და შემოღებულია სამოქმედოდ** საქსტანდარტის1999 წლის 2 მარტის № 20 ბრძანებით
3. **ნაცვლად სდ 02570339 – 008 – 97**

სახელმძღვანელო დოკუმენტი სერტიფიკაციაში

სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემა

სდ 20473172 – 024 – 99
მოთხოვნები სერტიფიკ აციის ექსპერტებისადმი,
მათი მომზადებისა და ატესტაციის წესი

წინამდებარე დოკუმენტი ადგენს სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემის ექსპერტების (შემდგომ – ექსპერტი) მიმართ წაყენებულ ძრითად მოთხოვნებს, მათი მომზადების და ატესტაციის წესს.

დოკუმენტში მოყვანილი ძირითადი ტერმინები და განმარტებები შეესაბამება ისო/იეკ 2 სახელმძღვანელოს და ისო 8402 სტანდარტს.დოკუმენტში გათვალისწინებულია ევროსტანდარტის 45013 მოთხოვნები პერსონალის სერტიფიკაციის საერთო კრიტერიუმების შესახებ.

1 ძირითადი დებულებები

1.1 ექსპერტი არის დადგენილი წესით ატესტირებული სპეციალისტი, რომელმაც ობიექტურად და კომპეტენტურად უნდა ჩაატაროს სერტიფიკაციისა და აკრედიტაციის სამუშაოები სერტიფიკაციისა და აკრედიტაციის სისტემაში.

1.2 ექსპერტის ატესტაცია ხორციელდება საქსტანდარტთან არსებული მუდმივმოქმედი საგამოცდო-საატესტაციო კომისიის (შემდგომ – კომისია) მიერ.

1.3 კომისიის სამუშაო დებულება და მისი შემადგენლობა მტკიცდება საქსტანდარტის თავმჯდომარის მიერ.

1.4 კომისია შედგება საქსტანდარტისა და სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტებისაგან. საჭიროების შემთხვევაში საქსტანდარტი კომიისიის შემადგენლობაში შეიყვანს სხვა ორგანიზაციებიდან მოწვეულ სპეციალისტებს.

1.5 ექსპერტი უნდა იყოს მრეწველობის, მომსახურების სფეროს, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სხვა ორგანიზაციების სპეციალისტი, აგრეთვე ის პირი, რომელსაც გააჩნია საჭირო კომპეტენტურობა და პასუხობს ამ დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს.

1.6 ექსპერტი უნდა აღიარებდეს სერტიფიკაციის ექსპერტის ღირსებისა და ეთიკის კოდექსს (დანართი 1).

1.7 ექსპერტის ატესტაცია ტარდება შემდეგი მიმართულებით:

– სერტიფიკაციის სისტემები;
– პროდუქციის სერტიფიკაცია;
– მომსახურების სერტიფიკაცია;
– სერტიფიკაციის ორგანოების, საგამოცდო და დამამოწმებელი ლაბორატორიების (ცენტრების) აკრედიტაცია.

1.8 სერტიფიკაციის სისტემის ექსპერტები ატარებენ სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაციის, ერთგვაროვანი პროდუქციის სერტიფიკაციის სისტემების შემუშავებისა და ექსპერტიზის სამუშაოებს.

1.9 ხარისხის სისტემების, პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის ექსპერტებს უფლება აქვთ ჩაატარონ შესაბამისი სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაციის სამუშაოები.

2 მოთხოვნები ექსპერტების მიმართ

2.1 ექსპერტს უნდა გააჩნდეს ცოდნა და გამოცდილება წინამდებარე დოკუმენტის მოთხოვნათა შესაბამისად,

აგრეთვე პირადი თვისებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

2.2 ექსპერტს პროდუქციის სერტიფიკაციის მომსახურების, საგამოცდო ლაბორატორიების აკრედიტაციის განხრით უნდა გააჩნდეს უმაღლესი განათლება ატესტაციის განცხადებულ სფეროში და სპეციალური მომზადება საქმიანობის შესაბამისი მიმართულებით.

ექსპერტს ხარისხის სიტემების სერტიფიკაციის განხრით უნდა გააჩნდეს უმაღლესი ტექნიკური ან ეკონომიკური განათლება და სპეციალური მომზადება ხარისხის სისტემების სერტიფიკაციაში.

ექსპერტს სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაციისა და სერტიფიკაციის სისტემების განხრით უნდა გააჩნდეს უმაღლესი ტექნიკური ან ეკონომიკური განათლება და სპეციალური მომზადება აკრედიტაციისა და სერტიფიკაციის სისტემების და წესების სფეროში.

2.3 ექსპერტს უნდა გააჩნდეს მუშაობის პრაქტიკული სტაჟი, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ არანაკლები ხუთი წელი და სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, სერტიფიკაციის ან პროდუქციის გამოცდის და კონტროლის სფეროში არანაკლები ორი წელი.

2.4 ექსპერტს პროდუქციის (მომსახურების) სერტიფიკაციის განხრით უნდა შეეძლოს:

– ჩაატაროს განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტების ანალიზი და მიიღოს მათზე გადაწყვეტილება;

– პროდუქციის (მომსახურების) იდენტიფიცირება;

– აიღოს ნიმუშები გამოცდებისათვის;

– ჩაატაროს გამოცდების შედეგების ანალიზი;

– შეაფასოს პროდუქციის ხარისხის სტაბილურობა საინფორმაციო მასალების გამო-ყენებით;

– ჩაატაროს საწარმოს დოკუმენტების ანალიზი წარმოების მდგომარეობის შესაფასებლად;

– გააფორმოს შესაბამისობის სერტიფიკატი და ნებართვა შესაბამისობის ნიშნის გამოყენებაზე;

– ორგანიზება გაუკეთოს და ჩაატაროს სერტიფიცირებული პროდუქციის საინსპექციო კონტროლი.

2.5 ექსპერტს ხარიხის სისტემების სერტიფიკაციის განხრით უნდა შეეძლოს:

– ჩაატაროს ხარისხის სისტემის დოკუმენტების ანალიზი, მათი შესაბამისობის შეფასება სტანდარტების მოთხოვნებთან და მიიღოს მასზე გადაწყვეტილება;

– შეადგინოს შემოწმების გეგმა და პროგრამა;

– ჩაატაროს ხარისხის სისტემის ფუნქციონირების შემოწმება, შეაფასოს ხარისხის სისტემის მდგომარეობის შესაბამისობა სისტემის დოკუმენტების და სტანდარტების მოთხოვნებთან;

– მიიღოს გადაწყვეტილება ხარისხის სისტემის შემოწმების საფუძველზე;

– შეადგინოს ანგარიში შემოწმების შესახებ;

– ორგანიზება გაუკეთოს და ჩაატაროს საინსპექციო კონტროლი.

2.6 ექსპერტს სერტიფიკაციის ორგანოების საგამოცდო და დამამოწმებელი ლაბორატორიების (ცენტრების) აკრედიტაციის განხრით უნდა შეეძლოს:

– ჩაატაროს წარმოდგენილი დოკუმენტების ექსპერტიზა და მიიღოს მასზე გადაწყვეტილება;

– შეადგინოს შემოწმების გეგმა და პროგრამა;

– ჩაატაროს სააკრედიტაციო ლაბორატორიის შემოწმება მისი საგამოცდო და გამმზომი საშუალებებით უზრუნველყოფის თაობაზე განცხადებულ სფეროში;

– შეაფასოს ლაბორატორიის მიერ გამოყენებული მეთოდიკების მოთხოვნების სისრულე და სისწორე;

– შეაფასოს საგამოცდო ლაბორატორიის პერსონალის შესაძლებლობები და პროფესიონალური დონე;

– შეაფასოს ლაბორატორიის სათავსების და მუშაობის პირობების შესაბამისობა გამოცდების ხარისხის უზრუნველყოფის, შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მოთხოვნებთან;

– გააფორმოს საგამოცდო ლაბორატორიის აკრედიტაციის დოკუმენტები;

– ორგანიზება გაუკეთოს და ჩაატაროს აკრედიტირებული საგამოცდო ლაბორატორიის საქმიანობის საინსპექციო კონტროლი.

2.7 ექსპერტს სერტიფიკაციის სისტემების განხრით უნდა შეეძლოს:

– შეაფასოს ერთგვაროვანი პროდუქციის სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემის ფუძემდებლური დოკუმენტების მოთხოვნებთან;

– შეაფასოს სერტიფიკაციის ორგანოდ აკრედიტაციაზე განმცხადებელი ორგანიზაციის შესაბამისობა სერტიფიკაციის ორგანოსადმი მოთხოვნებთან;

– იცოდეს სერტიფიკაციის ორგანოს აკრედიტაციის წესი;

– შესაფასოს ორგანიზაციის შესაძლებლობები, შეასრულოს ერთგვაროვანოი პროდუქციის სერტიფიკაციის ცენტრალური ორგანოს ფუნქციები;

– ჩამოაყალიბოს და შეიმუშაოს სერტიფიკაციის სისტემის ან წესის ძირითადი დებულებები და მოთხოვნები.

2.8 ექსპერტი პრაქტიკულ საქმიანობაში ვალდებულია:

– უზრუნველყოს თავის საქმიანობაში შედეგების ობიექტურობა და უტყუარობა;

-ყველა შემთხვევაში დაიცვას ეთიკური ნორმები, იყოს კეთილმოსურნე და გაწონასწორებული;

– უზრუნველყოს შემოწმების შედეგად მიღებული ინფორმაციის კონფი დენციალურობა;

– წინ აღუდგეს მასზე ზეწოლის ცდებს.

3. ექსპერტების მომზადების ორგანიზაცია

3.1 ექსპერტის წოდების მინიჭებისათვის სავალდებულოა სპეციალისტის მომზადება და გადამზადება, მისი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავება მის მიერ არჩეული საქმიანობის სფეროში.

3.2 ექსპერტის მომზადება ხდება ორ ეტაპად: თეორიული მასალის შესწავლა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი პრაქტიკა საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

3.3 მაძიებელს ექსპერტის წოდების მოსაპოვებლად ამზადებს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს საქსტანდარტის საბაზო ორგანიზაციას კადრების მომზადებისა და გადამზადების დარგში და ასრულებს კომისიის სამდივნოს ფუნქციებს.

ე ქსპერტის წოდების მაძიებელმა ინსიტუტში მისაღებად უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

– განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე;

– უმაღლესი და (ან) საშუალო ტექნიკური განათლების დამადასტურებელი საბუთის ასლი;

– ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;

– წარდგინება-დახასიათება სამუშაო ადგილიდან;

– სწავლების ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ინსტიტუტში მიღება წარმოებს არსებული წესისა და საქსტანდარტის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით, ორგანიზაციების შუამდგომლობით ან პირადი განცხადებით შესაბამისი ხარჯების ანაზღაურებით.

3.4 სწავლების პროგრამასა და ხანგრძლივობას, სწავლების ფორმას, სავალდებულო პრაქტიკას, გამოცდების ჩატარებას, კანდიდატების საქმიანობისა და პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით, განსაზღვრავს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი საქსტანდარტთან შეთანხმებით.

3.5 პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების ბაზაზე, რომლებიც ასრულებენ სერტიფიკაციის სამუშაოებს სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემაში. პრაქტიკა ითვალისწინებს ექსპერტის წოდების მაძიებელი კანდიდატურების მონაწილეობას ერთ-ერთ პროცედურაში მათი სპეციალიზაციის შესაბამისად.

3.6 კანდიდატმა შეიძლება მიიღოს მონაწილეობა სერტიფიკაციისა და აკრედიტაციის სამუშაოებში, როგორც სტაჟიორმა ან კომისიის წევრმა, რომელსაც შესაბამისი სტატუსი არ გააჩნია. მათი მონაწილეობა ამ სამუშაოებში უნდა შემოიფარგლოს განაცხადის განხილვით, დოკუმენტების ექსპერტიზითა და მათი გაფორმებით.

3.7 სავალდებულო პრაქტიკიდან თავისუფლდებიან ის კანდიდატები, რომელთაც აქვთ სერტიფიკაციისა და აკრედიტაციის სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება.

4 ექსპერტის ატესტაციის წესი

4.1 ექსპერტის ატესტაცია წარმოადგენს მისი უფლებების ოფიციალურ აღიარებას ჩაატაროს სერტიფიკაციის სფეროში სამუშაოები საქმიანობის არჩეული მიმართულების (დანართი 2) შესაბამისად.

4.2 ექსპერტის წოდების მაძიებელმა კომისიაში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

– განცხადება კომისიის თავმჯდომარის სახელზე;

– წარდგინება-დახასიათება სამუშაო ადგილიდან;

– ცნობა ინსტიტუტიდან მომზადების და (ან) გადამზადების კურსის გავლის შესახებ;

– საკურსო შრომა;

– ატესტაციის ჩატარების ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

თუ განმცხადებელი ითხოვს ატესტაციის ჩატარებას საქმიანობის რამდენიმე მიმართულებით, მაშინ ანაზღაურებას ექვემდებარება ატესტაციის თითოეული პროცედურა ცალ-ცალკე.

4.3 წარდგენილი დოკუმენტები მოწმდება კომისიის სამდივნოს მიერ.

4.4 წარდგენილი მასალების დადებითად შეფასების შემდეგ კომისია აწარმოებს ექსპერტის წოდების მაძიებლის ატესტაციას.

4.5 ატესტაციის შედეგების მიხედვით კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა:

ა) ატესტირებულია სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემის ექსპერტად, საქმიანობის სფეროს მითითებით;

ბ) არ არის ატესტირებული სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემის ექსპერტად, საქმიანობის სფეროს მითითებით.

4.6 მუშაკის შეფასება კომისიის მიერ ხდება ფარული კენჭისყრით, რომელსაც საატესტაციო პირი არ ესწრება. საკითხი წყდება ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საკითხი წყდება მუშაკის სასარგებლოდ. კომისიის დასკვნა ძალაშია, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ორი მესამედი მაინც.

ატესტაციის შედეგები (შეფასება და რეკომენდაციები) შეტანილ უნდა იქნეს საატესტაციო ფურცელში. საატესტაციო ფურცელს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და ყველა წევრი, რომელიც ატესტაციას ესწრებოდა.

4.7 საატესტაციო ფურცელი კომისის გადაწყვეტილებით და თანდართული მასალით, ატესტაციის ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში გადაეცემა საქსტანდარტის თავმჯდომარეს.

საქსტანდარტის თავმჯდომარე კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად, ერთი თვის ვადაში, გამოსცემს ბრძანებას „სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემის ექსპერტად ფიზიკურ პირთა ატესტაციის შესახებ".

4.8 უარყოფითი შეფასების შემთხვევაში მაძიებელს უფლება ეძლევა სამი თვის შემდეგ ხელახლა ჩააბაროს გამოცდა. ასეთ შემთხვევაში მაძიებელი დამატებით გადაიხდის ატესტაციის ჩატარების ღირებულებას.

4.9 სპეციალისტები, რომლებიც ატესტირებულები არიან სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემის ექსპერტად, ტარდებიან რეგისტრაციაში სახელმწიფო რეესტრში.

4.10 სპეციალისტებს, რომლებიც ატესტირებულები არიან სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემის

ექსპერტად, შეიძლება ჩამოერთვათ ეს წოდება სერტიფიკაციის ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

აღნიშნული სპეციალისტებისათვის ექსპერტის წოდების ჩამორთმევის საფუძველს წარმოადგენს საქსტანდარტის თავმჯდომარის ბრძანება

დანართი 1

სერტიფიკაციის ექსპერტების ღირსებისა და ეთიკის კოდექსი

ეთიკის ნორმების შესაბამისად და პროფესიონალური ღირსების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ექსპერტი იღებს ვალდებულებებს:

– დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა და ქვეყნის ინტერესები;

– პროდუქციის ხარისხის ამაღლების, მომხმარებელთა უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით გაატაროს საქსტანდარტის ტექნიკური პოლიტიკა;

– იყოს ობიექტური, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, არ მოექცეს ზეგავლენის ქვეშ;

– მუდმივად იზრუნოს თავისი პროფესიონალური დონისა და პრესტიჟის ამაღლებაზე. იყოს კომპეტენტური და კომუნიკაბელური;

– გამოიყენოს თავისი ცოდნა და კომპეტენცია საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების, პროდუქციის უსაფრთხოებისა და საიმედობის უზრუნველსაყოფად;

– პროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ყველა სამუშაო.

სერტიფიკაციის ექსპერტების ღირსებისა და ეთიკის კოდექსს გავეცანი, ვიღებ სახელმძღვანელოდ
და შესასრულებლად

_____

(გვარი, სახელი)

_____ წ

დანართი 2

ექსპერტების ატესტაციის სფეროები მიმართულების მიხედვით

1.00 სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემები.
2.00 ხარისხის სისტემების სერტიფიკაცია.
3.00 პროდუქციის სერტიფიკაცია:
3.01 მანქანათმშენებლობის პროდუქცია;
3.02 საავიაციო მრეწველობის პროდუქცია;
3.03 სამხედრო მრეწველობის პროდუქცია და აღჭურვილობა;
3.04 ხანძარსაწინააღმდეგო პრორროდუქცია და საშუალებები;
3.05 ქიმიური მრეწველობის პროდუქცია;
3.06 მეტალურგიული მრეწველობის პროდუქცია;
3.07 ნავთობი და ნავთობპროდუქტები;
3.08 ხის გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია;
3.09 მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია;
3.10 კვების მრეწველობის პროდუქცია;
3.11 სამთო-მომპოვებელი მრეწველობის პროდუქცია;
3.12 სამშენებლო მასალების მრეწველობის პროდუქცია;
3.13 ხელსაწყოთმშენებლობის პროდუქცია;
3.14 ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქცია;
3.15 საპარფიუმერიო-კოსმეტიკური პროდუქცია;
3.16 თამბაქო და თამბაქოს ნაწარმი;
3.17 სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

4.00 მომსახურების სერტიფიკაცია:

4.01 საყოფაცხოვრებო და რადიოელექტრონული აპარატურის, ელექტრომანქანებისა და ხელსაწყოების რემონტი და ტექნიკური მომსახურება;
4.02 საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებადა რემონტი;
4.03 ქიმიური წმენდა და ღებვა, სამრეცხაოების მომსახურება;
4.04 საპარიკმახეროების, აბანოების, საშხაპეების მომსახურება;
4.05 ავეჯის დამზადება და რემონტი;
4.06 სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურება;
4.07 საექსკურსიო-ტურისტული მომსახურება, სასტუმროების მომსახურება;
4.08 სამედიცინო მომსახურება;
4.09 საზოგადოებრივი კვების ობიექტების მომსახურება;
4.10 სამშენებლო მომსახურება და რემონტი.

საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა
და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი

სდ 20473172 – 025 – 99

სახელმძღვანელო დოკუმენტი მეტრილოგიაში

გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის
სახელმწიფო სისტემა

მოთხოვნები გაზომვათა საშუალებების დამმოწმებლებისადმი,
მათი მომზადებისა და ატესტაციის წესი

თბილისი
1999

საინფორმაციო მონაცემები
1. **შემუშავებულია** საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის – საქსტანდარტის მიერ
შემსრულებელი საქსტანდარტის მეტროლოგიის სამმართველო
2. **დამტკიცებულია და შემოღებულია სამოქმედოდ** საქსტანდარტის
1999 წლის 2 მარტის № 20 ბრძანებით
3. **პირველად**

სახელმძღვანელო დოკუმენტი მეტროლოგიაში

გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის
სახელმწიფო სისტემა

სდ 20473172 – 025 – 99

მოთხოვნები გაზომვათა საშუალებების დამმოწმებლებისადმი,
მათი მომზადებისა და ატესტაციის წესი

წინამდებარე დოკუმენტი ადგენს გაზომვათა საშუალებების დამმოწმებელი ფიზიკური პირების (შემგომში – სპეციალისტები) მიმართ წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს, მათი მომზადებისა (გადამზადების) და ატესტაციის წესს.

დოკუმენტში მოყვანილი ტერმინები და განმარტებები შეესაბამება ისო/იეკ–2 სახელმძღვანელოს და ისო 8402 სტანდარტს.

დოკუმენტში გათვალისწინებულია ევროსტანდარტის 45013 მოთხოვნები პერსონალის სერტიფიკაციის საერთო კრიტერიუმების შესახებ.

1. ძირითადი დებულებები

1.1 დამმოწმებელი არის სპეციალისტი, რომელმაც ობიექტურად და კომპეტენტურად უნდა ჩაატაროს გაზომვათა საშუალებების დამოწმება.

1.2 საქართველოს კანონის „ გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“ შესაბამისად, გაზომვათა

საშუალებების დამოწმებას ახორციელებს სპეციალისტი, რომელმაც გაიარა მომზადება და ატესტირებულია დამმოწმებლად საქსტანდარტის მუდმივმოქმედი საატესტაციო კომისიის (შემდგომში – კომისია) მიერ.

1.3 კომისიის სამუშაო დებულება და მისი შემადგენლობა მტკიცდება საქსტანდარტის თავმჯდომარის მიერ.

1.4 კომისია შედგება სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან.

1.5 დამმოწმებლის ატესტაცია ტარდება გაზომვათა სახეობების მიხედვით.

1.6 დამმოწმებელი აწარმოებს გაზომვათა საშუალებების დამოწმებას გაზომვათა ერთიანობის სახელმწიფო სისტემის სახელმწიფო და ლოკალური სამმოწმებელი სქემების შესაბამისად.

1.7 დამმოწმებელი უნდა იყოს უმაღლესი ან საშუალო ტექნიკური განათლების მქონე და პასუხობდეს ამ დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. მოთხოვნები დამმოწმებელთა მიმართ

2.1 დამმოწმებელი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „ გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“ , სახელმწიფო სამმოწმებელი სქემებით და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციით, რომელშიც რეგლამენტირებულია მოთხოვნები კონკრეტულ გაზომვათა სახეობათა დამოწმებაზე.

2.2 დამმოწმებელმა საქმიანობის სფეროს მიხედვით (დანართი 1) უნდა გაიაროს მომზადების ან გადამზადების სპეციალური კურსი.

2.3 დამმოწმებელმა უნდა იცოდეს და შეეძლოს:

– ძირითადი ეტალონების დანიშნულება;
– გაზომვების მეთოდები და საშუალებები გაზომვათა სახეობების მიხედვით;
– სამოწმებელი სქემები;
– საზომი საშუალებების მეტროლოგიური მახასიათებლები;
– უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები;
– დამოწმების შედეგების დამუშავების სტატისტიკური მეთოდები;
– დამოწმების მეთოდების სანიმუშო საზომი ხელსაწყოების შერჩევა;
– დამოწმების შედეგების ანალიზი;
– გააფორმოს დამოწმების ოქმი;
– გააფორმოს მოწმობა სახელმწიფო დამოწმების შესახებ.

2.4 დამმოწმებელი ვალდებულია:

– უზრუნველყოს თავისი საქმიანობის შედეგების ობიექტურობა და უტყუარობა;
– იზრუნოს თავისი პროფესიონალური დონის ამაღლებაზე.

2.5 დამმოწმებელი პასუხს აგებს დამოწმების შედეგების უტყუარობაზე.

3. დამმოწმებლების მომზადების ორგანიზაცია

3.1 დამმოწმებლის წოდების მინიჭებისათვის სავალდებულოა სპეციალისტმა გაიაროს მომზადება ან გადამზადება, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებისათვის მის მიერ არჩეული გაზომვათა სახეობების მიხედვით.

3.2 დამმოწმებლის მომზადება ხდება ორ ეტაპად:

– თეორიული მასალის შესწავლა;
– სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი პრაქტიკის გავლა შესაბამის ლაბორატორიებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

3.3 სპეციალისტების მომზადება და გადამზადება ხდება სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსიტუტში (შემდგომ – ინსტიტუტი), რომელიც წარმოადგენს საქსტანდარტის საბაზო ორგანიზაციას კადრების მომზადებისა და გადამზადების დარგში.

3.4 დამმოწმებლის წოდების მაძიებელმა ინსტ იტუტში მისაღებად უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

– განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე;
– უმაღლესი და (ან) საშუალო ტექნიკური განათლების დამადასტურებელი საბუთის ასლი;
– ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;
– წარდგინება-დახასიათება სამუშაო ადგილიდან;
– სწავლების ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3.5 ინსტიტუტში მიღება წარმოებს საქსტანდარტის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

3.6 სწავლების პროგრამას, ფორმასა და ხანგრძლივობას, აუცილებელი პრაქტიკის სახეობას განსაზღვრავს ინსტიტუტი საქსტანდარტთან შეთანხმებით, მაძიებლის საქმიანობისა და პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით.

3.7 როგორც გამონაკლისი, კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სავალდებულო პრაქტიკიდან შეიძლება გათავისუფლდნენ ის სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ დამოწმების სფეროში და არ გააჩნიათ ხარვეზები ყოველდღიურ საქმიანობაში.

4 დამმოწმებლის ატესტაციის წესი

4.1 დამმოწმებლის ატესტაცია წარმოადგენს მისი უფლებების ოფიციალურ აღიარებას ჩაატაროს გაზომვათა საშუალებების დამოწმება გაზომვათა სახეობების მიხედვით (დანართი 1).

4.2 დამმოწმებლის წოდების მაძიებელმა კომისიაში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

– განცხადება კომისიის თავმჯდომარის სახელზე;

– დამმოწმებლის საატესტაციო დახასიათება (დანართი 3);
– ცნობა ინსტიტუტიდან მომზადების და (ან) გადამზადების კურსისი გავლის შესახებ;
– საკურსო შრომა;
– ატესტაციის ჩატარების ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

თუ განმცხადებელი ითხოვს ატესტაციის ჩატარებას საქმიანობის რამდენიმე მიმართულებით, მაშინ ანაზღაურებას ექვემდებარება ატესტაციის თითოეული პროცედურა ცალ-ცალკე.

4.3 წარდგენილი დოკუმენტები მოწმდება კომისიის მდივნის მიერ.

4.4 წარდგენილი მასალების დადებითად შეფასების შემდეგ კომისია აწარმოებს დამმოწმებლის წოდების მაძიებლის ატესტაციას.

4.5ატესტაციის შედეგების მიხედვით კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა:

ა) ატესტირებულია გაზომვათა საშუალებების დამმოწმებლად, გაზომვათა საშუალებების ან სფეროს მითითებით;

ბ) არ არის ატესტირებული გაზომვათა საშუალებების დამმოწმებლად, გაზომვათა საშუალებების ან სფეროს მითითებით.

4.6 მუშაკის შეფასება კომისიის მიერ ხდება ფარული კენჭისყრით, რომელსაც საატესტაციო პირი არ ესწრება. საკითხი წყდება ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საკითხი წყდება მუშაკის სასარგებლოდ. კომისიის დასკვნა ძალაშია, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ორი მესამედი მაინც.

ატესტაციის შედეგები (შეფასება და რეკომენდაციები) შეტანილ უნდა იქნეს საატესტაციო ფურცელში (დანართი 3). საატესტაციო ფურცელს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და ყველა წევრი, რომელიც ატესტაციას ესწრებოდა.

4.7 საატესტაციო ფურცელი კომისიის გადაწყვეტილებით და თანდართული მასალით, ატესტაციის ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში გადაეცემა საქსტანდარტის თავმჯდომარეს.

საქსტანდარტის თავმჯდომარე კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად, ერთი თვის ვადაში, გამოსცემს ბრძანებას „ გაზომვათა საშუალებების დამმოწმებლის სახით ფიზიკურ პირთა ატესტაციის შესახებ“ .

4.8 უარყოფითი შეფასების შემთხვევაში მაძიებელს უფლება ეძლევა სამი თვის შემდეგ ხელახლა ჩააბაროს გამოცდა. ასეთ შემთხვევაში მაძიებელი დამატებით გადაიხდის ატესტაციის ჩატარების ღირებულებას.

4.9 სპეციალისტები, რომლებიც ატესტირებული არიან გაზომვათა საშუალებების დამმოწმებლად, ტარდებიან რეგისტრაციაში სახელმწიფო რეესტრში.

4.10 სპეციალისტები, რომლებიც ატესტირებულები არიან გაზომვათა საშუალებების დამმოწმებლად, შეიძლება ჩამოერთვათ ეს უფლება დამოწმების ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

აღნიშნული სპეციალისტებისათვის დამოწმების უფლების ჩამორთმევის საფუძველს წარმოადგენს საქსტანდარტის თავმჯდომარის ბრძანება.

დანართი 1

გაზომვათა სახეები:
– მექანიკური;
– ელექტროტექნიკური;
– რადიოტექნიკური;
– თბოტექნიკური;
– კუთხურ-ხაზობრივი;
– ფიზიკურ-ქიმიური;
– ოპტიკურ-ფიზიკური;
– დოზიმეტრული;
– აკუსტიკური.

დანართი 2

დამმოწმებლის საატესტაციო დახასიათება

1. _____
გვარი, ს.მ. , დაბადების წელი
2. _____
განათლება, რა დაამთავრა და როდის,
_____
სპეციალობა დიპლომის მიხედვით, სამეცნიერო ხარისხი
3. _____
სამუშაო ადგილი, თანამდებობა

_____

სამუშაო სტაჟი, მათ შორის , მეტროლოგიის განხრით

4. _____

სპეციალური მომზადება, მომზადების განმახორციელელი ორგანიზაცია

_____

რა განხრით და როდის

5. სტაჟირების მონაცემები

გავლის ადგილი	დრო	ხელმძღვანელის შეფასება

დასკვნები და რეკომენდაციები ----------

გაზომვის რომელ სახეობაზე (სფეროზე შეიძლება ატესტირებული იქნეს მუშაკი,

_____

როგორც დამმოწმებელი)

დახასიათება გაცემულია საატესტაციო კომისიაში წარსადგენად

_____

გვარი, ს.მ.

ატესტაციისათვის, როგორც დამმოწმებელი

ხელმძღვანელი_____

გვარი, ს.მ. , შევსების თარიღი

დახასიათებას გავეცანი

შენიშვნა არ მაქვს _____

გვარი, ს.მ. , გაცნობის თარიღი

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში საატესტაციო მუშაკს შეუძლია წერილობით გ ამოხატოს თავისი შენიშვნები.

დანართი 3

საატესტაციო ფურცელი

1. _____

გვარი, ს.მ. , დაბადების წელი

2. _____

განათლება, რა დაამთავრა და როდის,

_____

3. _____
სპეციალობა დიპლომის მიხედვით, სამეცნიერო ხარისხი

_____
სამუშაო ადგილი, დაკავებული თანამდებობა (ატესტაციის დროს),

4. _____
სამუშაო სტაჟი, მათ შორის , მეტროლოგიის განხრით

_____
სპეციალური მომზადება, მომზადების განმხორციებელი ორგანიზაცია

_____
რა განხრით და როდის

5. **კენჭისყრის შედეგები**_____
ხმების მიხედვით

_____

6. **საატესტაციო კომისიის რეკომენდაციები**_____

_____
_____
_____
_____

7. ხელმოწერები: კომისიის თავმჯდომარე _____
წევრები: _____
_____
_____
_____
_____
_____

8. **ატესტაციის ჩატარების დრო** _____
წელი, თვე, რიცხვი

მასალებს გავეცანი_____
გვარი, ს.მ.

_____
წელი, თვე, რიცხვი

საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლო გიისა და
სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი

სდ 20473172 – 026 – 99

სახელმძღვანელო დოკუმენტი აკრედიტაციაში

_____
აკრედიტაციის სისტემა

აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანოების, საგამოცდო და დამამოწმებელი ლაბორატორიების (ცენტრების) საქმიანობაზე საინსპექციო კონტროლის ჩატარების წესი

თბილისი
1999

საინფორმაციო მონაცემები
1. **შემუშავებულია და შემოტანილია** საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის – საქსტანდარტის მიერ;
შემსრულებელი: საქსტანდარტის აკრედიტაციისა და ლიცენზირების სამმართველო.
2. **დამტკიცებულია და შემოღებულია სამოქმედოდ** საქსტანდარტის 1999

წლის 2 მარტის № 20 ბრძანებით
3. პიპირველად.

სახელმძღვანელო დოკუმენტი აკრედიტაციაში

აკრედიტაციის სისტემა
სდ 20473172 – 026 – 99

აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანოების, საგამოცდო და დამამოწმებელი ლაბორატორიების (ცენტრების) საქმიანობაზე საინსპექციო კონტროლის ჩატარების წესი

წინამდებარე დოკუმენტი გამოიყენება აკრედიტებული პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის ორგანოების, საგამოცდო და დამმოწმებელი ლაბორატორიების (ცენტრების) საქმიანობაზე საინსპექციო კონტროლის ჩასატარებლად.

საინსპექციო კონტროლის ჩატარების წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს სახელმწიფო სტანდარტების: სსტ 100. 3-98 „ პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაცია. ზოგადი მოთხოვნები“ და სსტ 100. 4-98 „ საგამოცდო და დამამოწმებელი ლაბორატორიების (ცენტრების) აკრედიტაცია. ზოგადი მოთხოვნები“ საფუძველზე.

1. სერტიფიკაციის ორგანოების, საგამოცდო და დამამოწმებელი ლაბორატორიების (ცენტრების) საქმიანობაზე საინსპექციო კონტროლის განხორციელების თანმიმდევრობა

აკრედიტაციის ატესტატის მოქმედების პერიოდში აკრედიტებულ სერტიფიკაციის ორგანოებსა და ლაბორატორიებს უტარდებათ გეგმიური ან არაგეგმიური საინსპექციო კონტროლი.

გეგმური საინსპექციო კონტროლი ტარდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ, არაგეგმური კი – აკრედიტაციის სფეროს გაფართოებისა და აკრედიტაციის ატესტატის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ განაცხადის არსებობის შემთხვევაში, ან სერტიფიკაციის ორგანოს და ლაბორატორიის მიერ პროდუქციის ან მომსახურების სერტიფიკაციის დროს დაშვებულ დარღვევებზე ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში.

საინსპექციო კონტროლის დამტკიცებული გეგმის მიხედვით სერტიფიკაციის ორგანოს ან ლაბორატორიას ეგზავნება შეტყობინება საინსპექციო კონტროლის ჩატარების თაობაზე.

აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანოების, ლაბორატორიების საქმიანობაზე კონტროლის ჩატარების წესის მიხედვით დგება შესაბამისი პროგრამა და ფორმდება ხელშეკრულება საქსტანდარტსა და განმცხადებელს შორის (დანართი 1, 2).

საინსპექციო კონტროლის შემოწმების შედეგები ფორმდება აქტით, რომელშიც შეფასება ეძლევა სერტიფიკაციის ორგანოებსა და ლაბორატორიებში არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას და კეთდება დასკვნა აკრედიტაციის ატესტატის შენარჩუნების ან მოქმედების ვადის შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ (დანართი 3).

აქტი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა საქსტანდარტის ტექნიკურ საბჭოს, აქტის ასლი გადაეცემა სერტიფიკაციის ორგანოს ან ლაბორატორიას.

ტექნიკური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ტარდება შესაბამისი ღონისძიებები.

2. საინსპექციო კონტროლის სამუშაოების ანაზღაურება

საინსპექციო კონტროლის ღირებულების განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს საინსპექციო სამუშაოების ცალკეული სახეობების თვითღირებულება, რომელიც გაანგარიშებულია საქსტანდარტის მიერ, და რომელზეც არის დაკისრებული საინსპექციო კონტროლის ჩატარება.

საინსპექციო კონტროლის ანაზღაურება წარმოებს განმცხადებელსა და საქსტანდარტს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საინსპექციო კონტროლის ღირებულების გამოთვლა წარმოებს ფორმულით:

$$C_{ს.კ} = M \cdot T \cdot N \cdot \left(1 + \frac{K_1}{100}\right)$$

M – აკრედიტაციის სფეროში არსებული პროდუქციის (მომსახურების) კლასების (ჯგუფების) რაოდენობა;
N – შემოწმებაზე დახარჯული კაც/დღეებისრაოდენობა;
T – ექსპერტის საშ. დღიური ხელფასი;
K_1 – სოცდაზღვევის დანარიცხი;

საინსპექციო კონტროლის დროს ჩასატარებელი
სამუშაოს ნომენკლატურა

N	შამუშაოს დასახელება	შრომატევადობა კაც/დღე
1	საინსპეციო კონტროლისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება:	1,0

	– დავალების მიღება და გაფორმება; – სახელმწიფო სისტემის რეესტრიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი; – შესაბამისი სამსახურების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი (არსებობის შემთხვევაში).	
2	აკრედიტაციის დოკუმენტების ანალიზი: – იურიდიული სტატუსის შესაბამისობა მომქმედი ნორმატიული დოკუმენტების მიხედვით; – აკრედიტაციის სფერო; – დებულება; – ხარისხის სახელმძღვანელო;	3,0
3	ნორმატიული დოკუმენტაციის ფონდის არსებობა და აქტუალიზაცია: – საშტატო და შტატგარეშე სპეციალისტთა კვალიფიკაცია; – შიდა აუდიტის მასალები; – აპელაციაზე შემოსული მასალების რეაგირების ანალიზი (არსებობის შემთხვევაში); – სერტიფიკაციის სამუშაოების ჩატარების პროცედურის ანალიზი – საგამოცდო მოწყობილობებისა და გამზომი საშუალებების მდგომარეობის ანალიზი.	3,0
4	სფეროს გაფართოების დოკუმენტების ანალიზი.	1,0
5	აკრედიტაციის ვადის გაგრძელების განაცხადის განხილვა.	1,0
6	სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთკავშირის მდგომარეობა.	1,0
7	აქტის გაფორმება და წარდგენა ტექნიკურ კომიტეტში.	1,0

დანართი 1

საინსპექციო კონტროლის ჩატარების კითხვარი

1. აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანოს საინსპექციო კონტროლის დროს შემოწმებას ექვემდებარება:

– პროდუქციის (მომსახურების) სერტიფიცირებაზე შემოსული განაცხადების მიღების, რეგისტრაციისა და წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის, სერტიფიცირებაზე გადაწყვეტილების მიღების, სერტიფიკაციის სქემისა და აკრედიტებული ლაბორატორიის შერჩევის არსებული წესი და მდგომარეობა;

– როგორაა დაცული პროდუქციის იდენტიფიკაციის, ნიმუშების აღებისა და აკრედიტებულ ლაბორატორიაში მისი გამოცდის წესი;

– სერტიფიკაციის სფეროს დაცვა, გამოცდის შედეგების შესაბამისად სერტიფიკაციის სამუშაოების გაგრძელების ან შეწყვეტის მდგომარეობა;

– რეაგირება განმცხადებლის აპელაციაზე (არსებობის შემთხვევაში), რეაგირების მასალები და მიღებული ღონისძიებების შედეგები;

– აკრედიტაციის კრიტერიუმების შესაბამისად პერსონალისადმი წაყენებული მოთხოვნების შესრულების პირობები:

ა) თანამდებობრივი ინსტრუქციების მოთხოვნათა მიხედვით;

ბ) პერსონალის მომზადების მდგომარეობა (ატესტაცია, კვალიფიკაციის ამაღლება);

– შიდა აუდიტი;

– ორგანიზაციულ- მეთოდური და ნორმატიული დოკუმენტაციის დაცვის შემოწმება;

– აკრედიტაციის დროს არსებული იურიდიული სტატუსის და ფინანსური დამოუკიდებლობის ანალიზი.

– საქსტანდარტში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორე, მითითების შესრულების მდგომარეობა;

– საქმიანობის კონფიდენციალობის დაცვა.

2. აკრედიტებული ლაბორატორიის სინსპექციო კონტროლის დროს შემოწმებას ექვემდებარება:

– აკრედიტაციის სფეროს შესაბამისად სასერტიფიკაციო გამოცდების (დამოწმების) ობიექტურად, სიზუსტით ჩატარების პირობები;

– ლაბორატორიის საქმიანობის სფეროს ფარგლებში გამოცდების და დამოწმების ჩატარებისათვის საჭირო საგამოცდო და გამზომი მოწყობილობების დადგენილი წესით ატესტირების ან ნიშანდების მდგომარეობა (მოწყობილობას უნდა გააჩნდეს მოქმედი დამღა ან დამოწმების დამადასტურებელი მოწმობა, რომლებიც დაადასტურებენ მის მდგომარეობას დამოწმების ან შედარების შემდეგ);

– დაცულია თუ არა გამოცდების (დამოწმების) შედეგის რეგისტრაციის წესი;

– ლაბორატორიის მიერ გამოცდების (დამოწმების) ჩასატარებლად საჭირო ნორმატიული დოკუმენტაციის ფონდის მდგომარეობა და მათი დაცვა;

– სრულდება თუ არა აკრედიტაციის მოთხოვნების შესაბამისად პერსონალისადმი წაყენებული მოთხოვნები:

ა) თანამდებობრივი ინსტრუქციების მოთხოვნათა მიხედვით;

ბ) პერსონალის მომზადება;

– „ ხარისხის სახელმძღვანელოს“ შესაბამისად ხარისხის შიდა სისტემის მოთხოვნათა დაცვა;

– ლაბორატორიის მიერ ჩატარებული მუშაობის ამსახველი ოქმების გაფორმების წესის დაცვა;

– დაცულია თუ არა გამოცდების (დამოწმების) შედეგების რეგისტრაციის წესი;
– საგამოცდო ნიმუშების მიღების, შენახვისა და დაბრუნების (უტილიზაციის) წესების დაცვა;
– ლაბორატორიის შენობისა და გარემოს პირობებისადმი წაყენებული მოთხოვნების დაცვა (ლაბორატორიას უნდა შეეძლოს გამოცდების (გაზომვების) სწორად ჩატარებისათვის ელექტროენერგიით, განათებით, გათბობით, ვენტილაციით და სხვა უზრუნველყოფა; უსაფრთხოების მოთხოვნათა პირობების და პერსონალის ჯანმრთელობის დაცვა);
– სახარჯო მასალებით (ქიმიური რეაქტივები, ნივთიერებები და სხვა) აღჭურვის მდგომარეობა;
– საქმიანობის კონფიდენციალობის მოთხოვნების წესების დაცვა.

დანართი 2

„ შემსრულებელი“ „ დამკვეთი“

საქსტანდარტი ---------- ----------
მისამართი :380092 ---------- ----------
თბილისი, ჩარგლის 67 **მისამართი** ----------
ანგარიში: საქ. სახაზინო სამსახური N14 ---------- -- -----
ეროვნული ბანკი **ანგარიში** ---------- --------
ანგ 115141610, კოდი 220101107 ---------- -------
ტელ: 61-71-57 ----------

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № ----------

„ -------“ ----------წ

ჩვენ ქვემო ხელის მომწერნი:
„ შემსრულებლის“ მხრივ ----------
„ დამკვეთის“ მხრივ ----------
დავდეთ ხელშეკრულება, რომ „ დამკვეთი“ აბარებს და შემსრულებელი“ კი იღებს თავის თავზე შეასრულოს შემდეგი სამუშაო:

ხელშეკრულების თანხა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განისაზღვროს-------
----------ოდენობით
საინსპექციო შემოწმების მონაწილე პირთა სამივლინებო ხარჯებს (სატრანსპორტო, საცხოვრებელი, სადღეღამისო) ანაზღაურებს განმცხადებელი ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.
წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს „ შემსრულებელსა“ და „ დამკვეთს“ შორის ურთიერთანგარიშსწორებისა და თანხის გადახდის საფუძველს.

„ შემსრულებელი“ „ დამკვეთი“

დანართი 3

საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და
სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი

"-------"----------წ. ----------

აკრედიტაციის წესების დაცვაზე საინსპექციო კონტროლის ჩატარების

ა ქ ტ ი №

დამმოწმებელი

(სერტიფიკაციის ორგანოს, ---------- – ლაბორატორიის დასახელება)
საგამოცდო

დამმოწმებელი
სერტიფიკაციის ორგანოს,---------- ლაბორატორიის
საგამოცდო

ხელმძღვანელი ----------
(გ. ს.)
მისამართი----------

საინსპექციო კონტროლის ჩატარების საფუძველი ----------

აქტი შეადგინა: ----------
(თანამდებობა, გ. ს.)

ესწრებოდა: ----------
(თანამდებობა, გ. ს.)

---
1. საწყისი მონაცემები

დამმოწმებელი
(სერტიფიკაციის ორგანო, ---------- ლაბორატორიის დასახელება)
საგამოცდო
აკრედიტებული ----------
(ატესტატის გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა)

აკრედიტაციის ატესტატი № ----------

ორგანოს, ლაბორატორიის ბაზას წარმოადგენს ----------
---
2. საინსპექციო კონტროლის შედეგები
დანართი 1 ---------- – გვერდი, პუნქტების რ-ბა----------
3. დ ა ს კ ვ ნ ა
_____
_____
_____

აქტი შედგენილია ---------- – ეგზემპლარად და ხელს აწერს:

საქსტანდარტის წარმომადგენელი: 1 ---------- – ----------
ხელმოწერა ს.გ. თანამდებობა

2 ---------- ------ ----------
ხელმოწერა ს.გ. თანამდებობა

3 ---------- – ----------
ხელმოწერა ს.გ. თანამდებობა

4 ---------- ----------
ხელმოწერა ს.გ. თანამდებობა

დამამოწმებელი
სასერტიფიკაციო ორგანოს, ---------- ლაბორატორიის
საგამოცდო

ხელმძღვანელი ---------- ---------- ----------
ხელმოწერა ს.გ. თანამდებობა

აქტის ერთი ეგზემპლარი
მივიღე

---------- ----------

ხელმოწერა ს.გ. თანამდებობა

**საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და
სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის**

დებულება

ეს დებულება შემუშავებულია „ საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, ”მოხელეთა რეზერვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ და „ საკონკურსო-საატესტაციო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 მარტის № 173 და № 174 ბრძანებულების მოთხოვნათა შესაბამისად და განსაზღვრავს საქსტანდარტის მოხელეთა ატესტაციის, რეზერვის ფორმირებისა და კონკურსის წესით თანამდებობაზე დანიშვნისას საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიზნებს, ფუნქციებს, მუშაობის წესსა და პირობებს.

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ძირითადი ამოცანები

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის ძირითადი ამოცანებია:

ა) ატესტაციის მეშვეობით:

– დაკავებულ თანამდებობასთან მოხელეთა შესაბამისობის დადგენა;

– მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიონალური მომზადების ან გადამზადების საჭიროების განსაზღვრა;

– თანამშრომელთა პოტენციური შესაძლებლობის გამოვლენა;

– მუშაკის საკადრო გადანაწილება მისი ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით (დაწინაურება, ჩამოქვეითება ან განთავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან).

ბ) კონკურსის წესით თანამდებობა ზედანიშვნის პროცედურის გამოყენებით:

– საქსტანდარტში დასაკავებელ თანამდებობაზე წაყენებულ მოთხოვნებთან პიროვნების შესაბამისობის ობიექტური შეფასება;

– ვაკანტური თანამდებობისათვის შესაფერისი კანდიდატურის გამოვლენა.

გ) მოხელეთა რეზერვის ფორმირების გზით:

– ვაკანტური თანამდებობისათვის კანდიდატების შერჩევა;

– მოხელისათვის სამსახურის ადგილის გამოძებნა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში;

– სამსახურიდან გათავისუფლებული პირებისათვის სამსახურის ახალი ადგილის გამოძებნა.

თავი II

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ფუნქციები და მუშაობის წესი

მუხლი 2. მოხელის ატესტაცია

1. ატესტაციას ექვემდებარება:

ა) მოხელე სამ წელიწადში ერთხელ;

ბ) მოხელე, რომელიც წამოყენებულია სამსახურებრივი დაწინაურებისათვის;

გ) რეზერვში ჩარიცხული პირი;

დ) კანდიდატი მოხელის თანამდებობაზე, თუ თანამდებობა კონკურსის წესით უნდა დაიკავონ.

2. ატესტაციას არ ექვემდებარება:

ა) ფეხმძიმე ქალები; ქალები, რომლებიც ბავშვის მოვლის გამო იმყოფებიან შვებულებაში, ატესტაციას ექვემდებარებიან სამსახურში გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ;

ბ) მოხელე, რომელიც საქსტანდარტში მუშაობს ერთ წელიწადზე ნაკლებს;

გ) მოხელე, რომელიც დანიშნულია თანამდებობაზე ერთ წელიწადზე ნაკლები ვადით.

3 ატესტაციის ჩატარებას წინ უსწრებს საორგანიზაციო სამუშაოები:

ა) ბრძანების მომზადება ატესტაციის ჩატარების შესახებ;

ბ) ატესტაციის ჩატარების გრაფიკის მომზადება;

გ) საატესტაციო ფურცლებისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმის ბლანკების მომზადება;

დ) ატესტაციის ჩატარების მიზნების და წესების შესახებ განმარტებითი სამუშაოს ჩატარება.

3. საქსტანდარტის თავმჯდომარის ბრძანება ატესტაციის ჩატარების ვადებისა და გრაფიკის შესახებ და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის ბრძანება საატესტაციო კომისიის შემადგენლობის შესახებ ეცნობება მუშაკებს არა უგვიანეს ერთი თვისა ატესტაციის დაწყებამდე.

4. მუშაკთა სიები, რომლებიც ექვემდებარებიან ატესტაციას ან გათავისუფლებულები არიან მისგან, მტკიცდება საქსტანდარტის თავმჯდომარის ბრძანებით.

5. ყველა მუშაკზე, რომელმაც უნდა გაიაროს ატესტაცია, ატესტაციის დაწყებამდე არა უგვიანეს ორი კვირისა, კომისიას წარედგინება საატესტაციო დახასიათება (დანართი 1) და წინა ატესტაციის საატესტაციო ფურცელი (დანართი 2). დახასიათებას ხელს აწერს საატესტაციო მუშაკის უშუალო ხელმძღვანელი.

საქსტანდარტის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელზე საატესტაციო დახასიათებას ხელს აწერს საქსტანდარტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

დახასიათება უნდა შეიცავდეს მუშაკის პრაქტიკული საქმიანობის, პროფესიული მომზადებისა და სამართლ ებლივი კულტურის სრულ და ობიექტურ შეფასებას.

მუშაკს უფლება აქვს ატესტაციამდე ერთი კვირით ადრე გაეცნოს მასზე შედგენილ დახასიათებას.

6. სტანდარტების მოთხოვნების, სერტიფიკაციის წესებისა და მეტროლოგიური უზრუნველყოფის დაცვაზე ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორების (შემდგომ – „ სახელმწიფო ინსპექტორი“) წოდების მინიჭება ხდება საქსტანდარტის თავმჯდომარის ბრძანებით საქსტანდარტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წარდგინებით.

სახელმწიფო ინსპექტორის წოდების მინიჭებისათვის აუცილებელი პირობაა მისი მომზადება (გადამზადება) საქსტანდარტის საბაზო-სასწავლო ორგანიზაციაში. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კურსის დამთავრების შემდეგ თითოეული მსმენელის ცოდნის შეფასებას (ტესტირებითა და გამოცდებით) ახდენს საქსტანდარტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სპეციალიზებული საგამოცდო-საატესტაციო კომისია, რომელიც იქმნება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით.

7. საკონკურსო-საატესტაციო კომისია ატესტაციას ატარებს, როგორც წესი, იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის თანდასწრებით, სადაც მუშაკი მუშაობს.

მუშაკის არსაპატიო მიზეზით კომისიის სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება მის გარეშე. თანამშრომლები, რომლებიც ვერ გამოცხადდნენ კომისიის სხდომაზე საპატიო მიზეზით, ატესტაციას გადიან გრაფიკით გათვალისწინებულ სხვა ვადებში.

8. საკონკურსო-საატესტაციო კომისია იხილავს წარმოდგენილ მასალებს, უსმენს საატესტაციო მუშაკის ხელმძღვანელს, თვით საატესტაციო მუშაკს, აძლევს მათ შეკითხვებს, საჭიროების შემთხვევაში ატარებს მუშაკის წერილობით გამოკითხვას.

კომისია აფასებს მუშაკის შესაბამისობას დაკავებული თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, მათ შორის თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და ქვედანაყოფის დებულებაში მოცემულ მოთხოვნებთან.

9. ატესტაციის შედეგების მიხედვით საკონკურსო-საატესტაციო კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა:

ა) შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას (შეიძლება მისი დაწინაურება ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით);

ბ) შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას იმ პირობით, რომ კომისისიის მიერ მიცემული რეკომენდაციით გააუმჯობესებს მუშაობას (კვალიფიკაციის ამაღლება, გადამზადება და სხვ.) და ერთი წლის შემდეგ გაივლის განმეორებით ატესტაციას;

გ) არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და საჭიროა მისი ჩამოქვეითება;

დ) გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

10. მუშაკის შეფასება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ ხდება ფარული კენჭისყრით, რომელსაც საატესტაციო პირი არ ესწრება. საკითხი წყდება ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საკითხი წყდება მუშაკის სასარგებლოდ. კომისიის დასკვნა ძალაშია, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ორი მესამედი მაინც.

იმ მუშაკის ატესტაციის შემთხვევაში, რომელიც თვითონ არის საატესტაციო კომისიის წევრი, საკითხი წყდება კენჭისყრით, რომელშიც მოცემული საატესტაციო პირი არ მონაწილეობს.

ატესტაციის შედეგების შესახებ მუშაკს ეცნობება დაუყონებლივ, კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, რაც დასტურდება საატესტაციო ფურცელზე მისი ხელის მოწერით.

ატესტაციის შედეგები (შეფასება და რეკომენდაციები) შეტანილ უნდა იქნეს საატესტაციო ფურცელში, რომელიც ივსება ერთ პირად და საატესტაციო დახასიათებასთან ერთად დაერთვის მუშაკის პირად საქმეს. საატესტაციო ფურცელს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და ყველა წევრი, რომელიც ატესტაციას ესწრებოდა.

11. საატესტაციო ფურცელი კომისის გადაწყვეტილებით, რეკომენდაციებითა და თანდართული მასალით, ატესტაციის ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში გადაეცემა საქსტანდარტის თავმჯდომარეს.

საქსტანდარტის თავმჯდომარე საკონკურსო-საატესტაციო კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას მუშაკის დაკავებულ თანამდებობაზე დატოვების, დაწინაურების, ჩამოქვეითების ან გათავისფლების შესახებ ატესტაციის ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. თანამდებობაზე დანიშვნა კონკურსის წესით

საქსტანდარტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით გარკვეული თანამდებობის დასაკავებლად შეიძლება გამოცხადდეს კონკურსი.

1. კონკურსის გამოსაცხადებლად საქსტანდარტისთავმჯდომარე მიმართავს სახელმწიფო სამსახურის ბიუროს უფროსს, რომელიც ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში აცხადებს საჯარო კონკურს მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. შეტყობინება კონკურსის შესახებ უნდა შეიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

– საქსტანდარტის ქვედანაყოფის დასახელებას, სადაც ვაკანტური თანამდებობა არსებობს;
– სამუშაოს მიზანი, მოხელის მოვალეობა;
– კანდიდატისათვის წაყენებული მოთხოვნები (აუცილებელი კვალიფიკაცია და გამოცდილება, ასაკი);
– თანამდებობრივი სარგოს ოდენობა;
– განცხადებისა და სხვა დოკუმენტების მიღების საბოლოო თარიღი;
– საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მისამართი.

3. კონკურსის შესახებ შეტყობინების გამოცხადებიდან არა უადრეს სამი კვირისა ტარდება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომა, რომელზედაც შეირჩევა ის კანდიდატები, რომლებიც მიღებულ კრიტერიუმებს არ შეესაბამებიან და შერჩევის პროცესის შემდგომ საფეხურზე არ დაიშვებიან.

4. კანდიდატთა შემდგომი შეფასების მიზნით საკონკურსო-საატესტაციო კომისია ატარებს ტესტირებას.

მოხელის თანამდებობაზე კანდიდატთა შერჩევის ბოლო ეტაპია გასაუბრება. გასუბრების მიზანია კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის გადამოწმება და გაღრმავება.

კომისია კანდიდატებს ტესტირებისა და გასაუბრების ჩატარების თარიღს ამცნობს ერთი კვირით ადრე.

5. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ თანამდებობაზე დასანიშნად წამოყენებული, უმაღლესი შეფასების მქონე, კანდიდატი ინიშნება თანამდებობაზე, თუ იგი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში საქსტანდარტის თავმჯდომარეს წარუდგენს „ საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ დოკუმენტებსა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებას.

6. თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშნული მოხელისათვის სახელმწიფო ინსპექტორის წოდების მინიჭება ხდება სახელმძღვანელო დოკუმენტის სდ 20473172 – 023 – 99 მოთხოვნების შესაბამისად.

7. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ თანამდებობაზე დასანიშნად წამოყენებული კანდიდატი, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ დაინიშნა თანამდებობაზე, აგრეთვე ის კანდიდატები, რომლთაც კონკურსში მიიღეს მაღალი შეფასება, რეზერვში ჩარიცხვას ექვემდებარებიან.

მუხლი 4. მოხელეთა რეზერვის შექმნა

1. საქსტანდარტის რეზერვში ჩარიცხულ მოხელეთა აღრიცხვას აწარმოებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აყალიბებს სახელმწიფო მოხელეთა რეზერვის ერთიან საინფორმაციო სისტემას.

2. მოხელეთა რეზერვი არის იმ პირთა შესახებ მონაცემთა ერთობლიობა, რომლებიც თავისი კვალიფიკაციითა და გამოცდილებით რეა ლურ კანდიდატებს წარმოადგენენ საჯარო სამსახურში თანამდებობის დასაკავებლად.

3. საქსტანდარტის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში საკონკურსო-საატესტაციო კომისიას აცნობებს ვაკანსიის არსებობას, თანამდებობების დასახელებისა და მის დასაკავებლად წაყენებული მოთხოვნების მინიშნებით.

კომისია სამ დღეში საქსტანდარტის თავმჯდომარეს უგზავნის რეზერვიდან ამონაწერს იმ პირთა შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ მოთხოვნებს, აგრეთვე მათი ნამსახურობის ნუსხებს.

4. საქსტანდარტისთავმჯდომარე თანამდებობაზე ნიშნავს შესაბამის კანდიტატს მისი განცხადების საფუძველზე.

თავი III

დასკვნითი დებულებები

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამუშაოებთან დაკავშირებული დავა გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

დანართი 1

საატესტაციო დახასიათება

1._____

გვარი, ს.მ. , დაბადების წელი

2._____

განათლება, რა დაამთავრა და როდის,

_____

სპეციალობა დიპლომის მიხედვით, სამეცნიერო ხარისხი

3. _____ _____

დაკავებული თანამდებობა (ატესტაციის დროს), თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი

_____

სამუშაო სტაჟი, მათ შორის , საქსტანდარტში

4. _____ _____

სპეციალური მომზადება, მომზადების განმხორციელელი ორგანიზაცია

_____

რა განხრით და როდის

5. _____ _____

ბოლო პერიოდში შესრულებული აღსანიშნავი სამუშაოები,

_____

მათი შედეგები

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

6. _____

მუშაკის პრაქტიკული საქმიანობის, პროფესიული დონის შეფასება

_____

თანამდებობასთან შესაბამისობის წინადადებები

_____
_____
_____
_____
_____

დახასიათება გაცემულია საატესტაციო კომისიაში წარსადგენად

_____

გვარი, ს.მ.

_____ ატესტაციისათვის

თანამდებობაზე

ხელმძღვანელი _____

გვარი, ს.მ. , შევსების თარიღი

დახასიათებას გავეცანი
შენიშვნა არ მაქვს _____

გვარი, ს.მ. , გაცნობის თარიღი

_____
_____

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში საატესტაციო მუშაკს შეუძლია წერილობით დამოხატოს თავისი შენიშვნები.

დანართი 2

საატესტაციო ფურცელი

1. _____

გვარი, ს.მ. , დაბადების წელი

2. _____

განათლება, რა დაამთავრა და როდის,

_____

სპეციალობა დიპლომის მიხედვით, სამეცნიერო ხარისხი

3. _____

დაკავებული თანამდებობა (ატესტაციის დროს), თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი

_____

სამუშაო სტაჟი, მათ შორის , საქსტანდარტში

4. _____

სპეციალური მომზადება, მომზადების განმხორციელელი ორგანიზაცია

_____

რა განხრით და როდის

5. კენჭისყრის შედეგები _____

ხმების მიხედვით

_____

_____

6. საატესტაციო კომისიის რეკომენდაციები _____

_____

_____

_____

_____

_____

7. ხელმოწერები: კომისიის თავმჯდომარე _____

წევრები: _____

_____

_____

_____

_____

_____

6. **ატესტაციის ჩატარების დრო** _____

წელი, თვე, რიცხვი

მასალებს გავეცანი _____

გვარი, ს.მ.

საქსტანდარტის თავმჯდომარის გადაწყვეტილება ატესტაციის შედეგების მიხედვით

_____

_____

_____

_____

წელი, თვე, რიცხვი